საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

განათლების მიმართულება

მაია დავითაძე

ბავშვის სკოლისათვის მომზადების პრობლემები სკოლამდელ განათლებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

დედა ბარბარე (ციალა მეგრელაძე).

ხიჭაური

2019 წელი

ანოტაცია

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების მაგისტრანტის მაია დავითაძის ნაშრომში „ბავშვის სკოლისათვის მომზადების პრობლემები სკოლამდელ განათლებაში". ნაშრომში განხილულია უახლესი კვლევები ადრეული განათლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. კვლევაში აღწერილი სხვადასხვა ქვეყნების მონაცემები სანდო და სასარგებლოა.

განზოგადებულია სკოლამდელი აღზრდის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული სტანდარტისა და სხვა ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით. განხილულია სიახლეები აღმზრდელ-პედაგოგის განათლებაში.

კვლევის მიზანია ადრეული (სკოლამდელი) განათლების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ბავშვის სკოლისათვის მოსამზადებლად.

კვლევის ამოცანებია ადრეული (სკოლამდელი) აღზრდის მნიშვნელობასთან დაკავშირებული კვლევებისა და ჩარჩო დოკუმენტის ანალიზი, სასკოლო მზაობის ჯგუფების მუშაობის სპეციფიკური თავისებურებების განხილვა, სასკოლო მზაობის ჯგუფების მუშაობის გამოცდილების შესწავლა.

მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია კვლევის მეთოდები, შედეგად გაკეთებულია დასკვნები.

მოცემულია სასკოლო მზაობის ჯგუფში ბავშვთა ჩართულობის და სწავლების ძირითადი პირობები. **გაანალიზებულია** ხუთი წლის ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიური **განვითარების თავისებურებების კრებული.** კოგნიტური შემეცნებითი განვითარების გზები, აღწერილია თამაშის როლი სასკოლო მზაობის პროგრამაში და ზოგიერთი თამაშის ჩატარების მეთოდები.

შესწავლილი და განხილულია სასკოლო მზაობის ჯგუფების მუშაობის გამოცდილება. მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

Annotation

For the thesis “"Problems of Children Preparation for Pre-School Education" by Maya Davitadze, a postgraduate student of Education at Georgian Patriarchate St. Tbel Abuserisde Teaching University.

The work deals with the latest research on the importance of early education. Data from various countries described in the survey are reliable and useful.

The qualification requirements for preschool education are generalized according to professional standards and other framework documents. The novelties in pre-school education are discussed.

The goal of the research is to determine the role and importance of early (pre-school) education for the children’s preparation for primary school.

The objective of the research is to analyze the research and framework document on the importance of early (preschool) education, review specific peculiarities of school readiness groups, study the experience of school readiness groups.

To achieve the objective, the methods of research are determined, and conclusions are made.

The basic conditions for children's involvement and teaching are provided in the school readiness group. The collection of psychological development properties of five-year-old children is analyzed. The ways of cognitive development, the role of the game in the School Preparedness Program and the methods of conducting some games are described in details.

The experience of school readiness groups is studied and discussed. Conclusions and recommendations are given.

შინაარსი

შესავალი

.....4

თავი პირველი: ადრეულ (სკოლამდელ) აღზრდასთან დაკავშირებული კვლევების შედეგებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ანალიზი.

1. კვლევები ადრეული განათლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით 13
2. სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.....17
3. აღმზრდელ-პედაგოგთა ავტორიტეტი და ბავშვთან ურთიერთობის ეფექტურობა.....21
4. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საგანმანათლებლო სტანდარტების მიმოხილვა.....24

თავი მეორე: სასკოლო მზაობის ჯგუფებში მუშაობის თავისებურებები.

5. სასკოლო მზაობის ჯგუფებში ჩარიცხვის ასაკის პრობლემები 28
6. სასკოლო ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარება.....34
7. კოგნიტური შემეცნებითი პროცესების განვითარება.....39
8. თამაშის როლი სასკოლო მზაობის პროგრამაში.....46
9. ფიზიკური გარემო, ავეჯის განლაგება და ესთეტიკა.....56
10. ჯგუფის ფიზიკური გარემოს ცვლილებები.....60
11. დღის განრიგი სრული დღის პროგრამისათვის.....67

12. მომავალი აღმზრდელ-პედაგოგის სააღმზრდელო პროცესი.....71
13. დაგეგმვის ზოგიერთი საკიხები.....73
14. დასკვნები.....77
15. ლიტერატურის დასახელება.....79

შესავალი

ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშთა განათლება და განვითარება, რომელიც მოიცავს 6 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარებისა და განათლების შესახებ მეცნიერული ცოდნის გაღმავებას, უკავშირდება ადამიანის ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ პერიოდს. ეს არის ინტენსიური ზრდისა და განვითარების ეტაპი, რომელიც ღირებულია ერთი მხრივ ბავშვის აწმყოსა და მომავლის, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

დარგი არის ინტერდისციპლინური: პედაგოგიკასთან ერთად მოიცავს განვითარების ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ჯანმრთელობის სფეროში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი თავად არის თავისი განვითარების განმსაზღვრელი, მდიდარი, მრავალფეროვანი პოტენციალით, ქმედებით. მნიშვნელოვანი, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული, ფაქტორებით.

ადრეულ განათლებასა და განვითარებაზე გავლენას ახდენს ოჯახის სოციალური ვითარება, გარემოში არსებული რისკები, ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფა და სხვა.

სკოლამდელი განათლების სპეციფიკური მიზანია მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გზებისა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადების უზრუნველყოფა.

კვლევების მიხედვით, პირველ კლასში მისული მოსწავლეების იმ ნაწილს რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არ დადიოდნენ, არ აღმოაჩნდათ სასკოლო განათლების დაწყებისათვის კოგნიტური და არაკოგნიტური (ემოციური, სოციალური, ფიზიკური) უნარები. განხორციელებული საქმიანობის მიუხედავად, აღნიშნული პრობლემა კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება, რაც შემდგომ სისტემურ მუშაობას მოითხოვს.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულ პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე. დასაქმებული აღმზრდელი პედაგოგების საშუალო ასაკი 40-47 წელია. მხოლოდ 32,2 % იღებს უმაღლეს განათლებას სკოლამდელი განათლების სფეროში . 35.9% პროფესიულ, ხოლო 32% არა აქვს ამ დარგში განათლება. აღნიშნულ პედაგოგთა 40% არა აქვთ გავლილი არანაირი ტრენინგი. საწყისი განათლება ათწლეულების წინ აქვთ მიღებული. რაც შეეხება აღმზრდელების განათლებას, მათ მხოლოდ მცირე ნაწილს 21,2% აქვს რაიმე ტიპის განათლება სკოლამდელ აღზრდასა და პედაგოგიურ სფეროში. უმეტესობას 72,3% არა აქვს გავლილი არანაირი პროფესიული გადამზადების კურსი, ტრენინგი ან სხვა.

დიდ საზრუნავად რჩება საგანმანათლებლო რესურსების არარსებობა. სკოლამდელი განათლების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამებსა და რეკომენდირებულ აქტივობას. განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონებისთვის.

სკოლამდელი განათლების პრობლემა მწვავედ იდგა გასულ საუკუნეებშიც. სკოლამდელ დაწესებულებებში მუშაობდნენ ძირითადად საშუალო პროფესიული განათლების სპეციალისტები. 80-იანი წლების დასაწყისში, სულხან-საბა ორბელიანის

სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგკისა და ფსიქოლოგის სპეციალობა, ეს სპეციალობა დაემატა ყველა პედაგოგიურ ინსტიტუტს. მათ შორის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს. ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი, სკოლამდელ დაწესებულებებში ძირითადად იგზავნებოდა შესაფერისი განათლების მქონე პირი, XXI საუკუნის დასაწყისში ეს სპეციალობა ყველგან გაუქმდა, თითქმის ორი ათეული წელი სკოლამდელ დაწესებულებას კვალიფიციური პედაგოგი არ მიწოდებია 2012 წლამდე.

სკოლამდელი დაწესებულებები მხოლოდ სააღმზრდელო ფუნქციას ასრულებდნენ და ორიენტირებული იყვნენ ბავშვის მოვლაზე, არ მოქმედებდა განათლების კომპონენტი, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენდა ბავშვის სკოლისათვის მომზადების ხარისხზე.

2016 წლიდან დაიწყო ამოქმედება პროფესიულმა სკოლამ, მათ შორის იყო პროგრამა „ბაგა-ბაღის აღმზრდელ - პედაგოგი“ ეს პროგრამა ჩვენს უნივერსიტეტშიც ფუნქციონირებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, მხარდაჭერილი იქნება სკოლამდელი განათლების სპეციალისტების მომზადებისათვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დანერგვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე პროფესიული განათლების სისტემაში აღმზრდელის მომზადების მოდულის გადამუშავება. ხელი შეეწყობა საშემსრულებლო ხელოვნების (მუსიკის) და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიული მოდულის შექმნას და დანერგვას.

მიმდინარე 2019 წლის მარტში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული იქნა ადრეული (სკოლამდელი) განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, განსაზღვრავს ადრეული

(სკოლამდელი) განათლების ბაკალავრის მოსამზადებელი პროგრამების შესწავლით მისაღწევ მინიმალურ კომპეტენციებს. დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს შესაბამისი კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიანი ადრეული განათლებისა და განვითარების სპეციალისტების მომზადებას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს პროფესიული და შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკა, გააჩნია პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეუძლია ადრეული განათლების სფეროში პროფესიული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესრულება, ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება, სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება, შეფასება, ანალიზი, სწორი დარგობრივი გადაწყვეტილების მიღება ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერა და ზეპირი კომუნიკაცია, ისტი ტექნოლოგიებისა და კომპიუტერების გამოყენება, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და სხვა.

ადრეული (სკოლამდელი) განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით საბაკალავრო პროგრამები ჯერ არ ამოქმედებულა. ამჟამად ადრეული (სკოლამდელი) აღზრდის პრობლემას განვიხილავთ ამჟამინდელი რეალობიდან გამომდინარე.

სკოლამდელი დაწესებულების მიმართ ყურადღების გაძლიერება სასიამოვნო ფაქტია. მხედველობაში მაქვს მატერიალურობის ბაზა. ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, კეთილმოწყობილი სამუშაო გარემო. თუმცა პრობლემები მრავლადაა.

ბაკალავრიატი დავამთავრე დაწყებითი განათლების პედაგოგიკის სპეციალობით, სადაც გავიარე ბავშვის სკოლისათვის მომზადების სასწავლო კურსი, დავსაქმდი შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში,- დამხმარე მეთოდისტის თანამდებობაზე, საიდანაც გადავედი ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგად. შესწავლილმა კურსებმა და სამუშაო გამოცდილებამ განაპირობა სამაგისტრო თემის არჩევანი. ჩემი არჩევანის შესახებ გავანდე თანაკურსელებს, კოლეგებს ოჯახის წევრებს, მივიღე მათგან გამოხმაურება, რჩევები,

წინადადებები და საბოლოოდ გადავწყვიტე შევეჭიდო საკვლევ თემას სკოლამდელი განათლების პრობლემებთან მიმართებაში.

კვლევის მიზანი: ადრეული (სკოლამდელი) განათლების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ბავშვის სკოლისათვის მოსამზადებლად.

კვლევის ამოცანები: 1. ადრეული (სკოლამდელი) აღზრდის მნიშვნელობასთან დაკავშირებული კვლევები და ჩარჩო დოკუმენტის ანალიზი; 2. სასკოლო მზაობის ჯგუფების მუშაობის სპეციფიკური თავისებურებების განხილვა; 3. მომავალი აღმზრდელ-პედაგოგის სააღმზრდელო პროცესი.

კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევა: მონაცემთა შეგროვება, ანალიზი, დამუშავება, დაკვირვება.

თვისობრივი კვლევა: წყაროების ანალიზი, სამაგიდო კვლევა, ინტერვიუ.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

ნაშრომში ადრეული (სკოლამდელი) აღზრდის როლი და მნიშვნელობა ბავშვის სკოლისათვის მოსამზადებლად განხილულია უახლესი კვლევების შედეგების, ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნებისა და რეალურად არსებული ვითარების შესწავლის საფუძველებზე, ნაშრომი გაამდიდრებს სკოლამდელი აღზრდის არსებულ მეთოდიკას ახალი ხილვებითა და ახალი მიდგომებით.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა:

ნაშრომში უახლესი სანდო წყაროები განხილულია პრობლემის შესაბამისი მიმართულებით. მოცემულია აღწერის ანალიზი, დასკვნა, თეორიული მასალა ლოგიკურადაა დალაგებული და ემსახურება საკითხის სიღრმისეულ ხედვას. ქმნის ახალი იდეების ჩამოყალიბების საშუალებას.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომში საკითხები წარმოდგენილია რეკომენდაციების, ნიმუშების ანალიზის სახით, რაც აძლიერებს მისი გამოყენების ხარისხს.

კვლევის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; ელექტრონული ბიბლიოთეკა; შუახევის სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანება.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავისა თოთხმეტი პარაგრაფის, დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებიდან.

ნაშრომის მოკლე შინაარსი:

პირველი თავის **„ადრეულ (სკოლამდელ) აღზრდასთან დაკავშირებული კვლევების შედეგებისა და მოთხოვნების ანალიზი“** პირველ პარაგრაფში ადრეული განათლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მე-19 საუკუნის ევროპაში, ინდრუსტრიალიზაციასთან ერთდ, გაიზარდა ქალთა დასაქმება, წარმოიშვა საჭიროება, ადრეული ასაკში ბავშვსა და მის განათლებაზე ზრუნვა.

კვლევები განვითარების ფსიქოლოგიასა და განათლების მეცნიერებაში ცხადყოფს, რომ სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას, სკოლისათვის მომზადებას და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში.

არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, რომლებიც ქმნიან მინიმალურ სტანდარტებს, რითაც შეიძლება ბავშვის განვითარება, საუბარია მინიმალურ სტანდარტებზე, რომელიც 10 ძირითად პუნქტს მოიცავს, რომლის საშუალებითაც ბავშვისა და პედაგოგის მუშაობა დაფასდება.

მეორე პარაგრაფში **„სკოლამდელი აღზრდისა და მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“** აღნიშნულია, რომ აღმზრდელ პედაგოგის კვალფილაციის მუდმივი ამაღლება სავალდებულოა. კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ორგანიზაციის

მსოფლიო გამოცდილება უჩვენებს, რომ არსებობს სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგთა განვითარების სხვადასხვა გზები, აღწრილია სხვადასხვა ქვეყნების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ნორმები, ამ ნორმების მიხედვით პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია სპეციალურად ორგანიზებული კურსების ფარგლებში. სკოლამდელ დაწესებულებებში შეიძლება იყოს კერძო სახელმწიფო, რომელიც შეამოწმებს კვლევით საქმიანობასთან ერთად მასწავლებლეთა მომზადების უზრუნველყოფა.

მესამე პარაგრაფში **„აღმზრდელ პედაგოგის ავტორიტეტი და ბავშვთან ურთიერთობის ეფექტურობა“** აღწერილია, რომ პედაგოგისა და ბავშვის ურთიერთობისას და ბავშვზე პოზიტიური ზემოქმედების გასაგრძელებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგის იმიჯს. როცა ბავშვს ავტორიტეტული მასწავლებელი უტარებს გაკვეთილს ბავშვს უკვე აქვს განწყობა იმისა, რომ მოისმინოს და გაიგოს ახსნილი მასალა.

საუბარია პედაგოგიურ უნარებზე, რომელიც აუცილებელია პედაგოგის ავტორიტეტის მოსაპოვებლად. ასევე ბავშვზე არ შეიძლება ისეთი შენიშვნების მიცემა, რომელიც იმოქმედებს მის მორალზე. ზოგ შემთხვევაში ბავშვს უნდა გავაცნოთ მისი მდგომარეობა პირად ურთიერთობათა სისტემაში.

მეოთხე პარადრაფში **„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საგანმანათლებლო სტანდარრტების მიმოხილვა“** აღნიშნულია, რომ 2015 წლიდან შემუშავდა სკოლამდელი განათლების კანონი , რომელიც აწესრიგებს განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას.

2018 წლიდან დაიწყო მეთოდისტების, აღმზრდელ-პედაგოგებისა და მუსიკის მასწავლებლის პროფესიული გადამზადება, აღმზრდელი, რომელიც გადალახავს ეტაპს მიენიჭება ბაღის ამღმზრდელის სტატუსი, ხოლო, ვინც ვერ შეძლებს კურსის გავლას იმუშავებს თავის პოზიციაზე და შეეძლება ტრენინგ-კურსები ახლიდან გაიროს. თუ გვინდა

ბავშვი სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბდეს ის ახალ უნარჩვევებს საბავშვო ბაღიდან უნდა განვითარდეს.

საუბარია აღზრდის პედაგოგის სტანდარტებზე, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა საბავშვო ბაღში აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობის დასაწყებად.

მეორე თავის: **„სასკოლო მზაობის ჯგუფში მუშაობის თვისებურებები“**

მეხუთე პარაგრაფში **„სასკოლო მზაობის ჯგუფში ჩარიცხვის ასაკის პრობლემები“** აღნიშნულია, რომ 2011 წლიდან საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, 5 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში შესვლის შესახებ. მოვლენა საკმაოდ მაშტაბური იყო მომავალი თაობისთვის. წარმოიშვა კითხვები არის თუ არა 5 წლის ასაკის ბავშვი სკოლისათვის მზად. ფსიქოლოგების აზრით ბავშვს სჭირდება გარკვეული პერიოდი იმისთვის, რომ შეეგუოს სკოლას და დაიწყოს სწავლა განათლება. მაგრამ კანონი მოსამზადებელი კლასის არსებობას არ ითვალისწინებს. ბავშვის განვითარებაში აუცილებელია მშობელმა შეიტანოს წვლილი და აღმზრდელებთან ერთდ შეისწავლოს ახალი სტანდარტები.

ჯგუფში ჩარიცხვის ასაკის პრობლემაზე საუბრობს ნეიროქირურგი ქალბატონი თამარ გაგოშიძე და ფსიქოლოგი ქალბატონი ნათელა იმედაძე. ისინი აღნიშნავენ, რომ ხუთი წლის ასაკში ბავშვს სჭირდება სპეციალური თამაშები, მას ნაკლებად აქვს განვითარებული სხვადასხვა უნარები და რაც არ უნდა ძლიერი ინტელექტი ჰქონდეს ის კითხვას ვერ ისწავლის.

მეექვსე პარაგრაფში **„სასკოლო ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარება“** , აღნიშნულია, რომ საკოლო ასაკის ბავშვი ატარებს მკვეთრად გამოხატულ მძაფრ, მაგრამ არამდგრად ხასიათს. 5 წლის ასაკის ბავშვს უვითარდება ემპათიის გრძნობა. რომელიც იყოფა სხვადასხვა საფეხურებათ. არსებობს ქცევის აგრესიული სახე, რომელიც ასაკის სხვადასხვა პერიოდებში იჩენს თავს.

მეშვიდე პარაგრაფში **„კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების განვითარება“** აღნიშნულია, რომ აღქმა შიძლება იყოს თანდათანობით უფრო სრულყოფილი 5 წლის ასაკში . აქ თავს იჩენს ყურადღების გამახვილების დეფიციტი. თუ ადრე ბავშვი ერთ კონკრეტულ საგანზე 10 წუთს ამახვილებდა ყურადღებას, ახლა მას შეუძლია 15-20 წუთი დააკვირდეს საგანს.

საუბარია რეკომენდაციებსა და სასკოლო მზაობისთვის გასათვალისწინებელ მახასიათებლებზე რომელიც სასკოლო მზაობის ჯგუფში პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს.

მერვე პარაგრაფში **„თამაშის როლი სასკოლო მზაობის პროგრამაში“,** აღნიშნულია, რომ თამაში ხელს უწყობს ბავშვს სხვადასხვა უნარების განვითარებაში, თამაშით ვითარდება მსხვილი და წვრილი მოტორიკა. არსებობს თამაში სხვადასხვა ტიპები: როლური თამაში, წესებიანი თამაში, ეზოს მოძრავი თამაში, სადაც ბავშვს შეუძლია როლის მორგება და ინსცენირება, უარჩვევების გამყარება, ამით მას უჩნდება პასუხისმგებლობა. თამაში ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ განვითარებას. გარდა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომელიც აკისრია თამაშს ბავშვის განვითარების პროცესში, მას აქვს თავისთვადი ღირებულებაც - ეს არის სასიამოვნო პროცესი, რომელიც თავისუფლებისა და სიხარულის განცდას ანიჭებს ბავშვს. რაც შეეხება აღმზრდელს, თამაშში ის მხოლოდ ბავშვს ეხმარება გარკვეული სიძნელეების დაძლევაში.

მეცხრე პარაგრაფში **„ ფიზიკური გარემოს, ავეჯის განლაგება და ესთეტიკა“** აღნიშნულია, რომ ჯგუფში არსებული ნივთები და მათი განლაგება დიდ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ რას უნდა ველოდოთ იქ მყოფი ბავშვებისაგან. ფიზიკურ გარემო ხელს უნდა უწყობდეს პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებს. საურველია გარემო მიმზიდველი იყოს. რათა საბავშვო ბაღში ბავშვმა დრო სასიამოვნოდ გაატაროს.

მეათე პარაგრაფი **„ ჯგუფის ფიზიკური გარემოს ცვლილება“** აღნიშნულია, რომ საკოლო მზაობის ჯგუფში გარემო კარგად ორგანიზებული და სტილისტურად მოწყობილი

უნდა იყოს. წლის განმავლობაში შეიძლება გარემოში ცვლილებები შევიტანოთ, ეს იმაზეა დამოკიდებული თუ რა აქტვიბობას ვატარებთ. რესურსებს აქვს მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობა. ბავშვი ყველაზე კარგად ვითრდება და კარგად სწავლობს როცა ყველა რესურსთან აქვს შეხება.

მეთერთმეტე პარაგრაფში **„დღის განრიგი სრული დღის პროგრამისათვის“** აღნიშნულია, რომ სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც აქტივობებში დროის სათანადოდ განაწილება აუცილებელია იმისათვის, რომ ყველა აღსაზრდელს ჰქონდეს უფლება ჩაერთოს სასწავლო პროცესში და და დააფიქსიროს მისი აზრი.

მეთორმეტე პარაგრაფში **„მომავალი აღმზრდელ პედაგოგის დასაქმებისათვის მზაობა“** აღნიშნულია, რომ საკოლო ჯგუფში მუშაობა ერთობ საინტერესოა, რადგანაც მუშაობის პროცესში დაგეგმილი აქტივობა ბავშვებიდან გამომდინარე შეიცვალოს და სულ სხვა აქტივობა გამოვიყენოთ. გამოკითხვებმა აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობა საპასუხისმგებლო საქმეა, მაინც საინტერესო და მნიშვნელოვანია.

მეცამმეტე პარაგრაფი **„დაგეგმვის ზოგიერთი საკითხი“** აღნიშნულია, რომ დაგეგმვის ეს ხერხები პრაქტიკული გამოყენებისთვის დაგვეხმარება ჯგუფში დღის განრიგის შედგენაში . ყოველდღიურ საქმიანობას ახლავს თავისი წესები და მნიშვნელობა, რომელსაც შეძლებისდაგვარად იენებს აღმზრდელი. ნაშრომის აპრობაცია შედგა ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სკოლის სტუდენტებთან.

თავი პირველი: ადრეულ (სკოლამდელ) აღზრდასთან დაკავშირებული კვლევების შედეგებისა და მოთხოვნების ანალიზი

§.1 კვლევები ადრეული განათლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით

ადრეულ ასაკში ბავშვზე, მის განათლებაზე, თითქმის ყველა საზოგადოებაში, ტრადიციულად ოჯახი ზრუნავდა. მე-19 საუკუნის ევროპაში, ინდრუსტრიალიზაციასთან ერთად, რომელმაც ხელი შეუწყო ურბანიზაციასა და ქალთა დასაქმების ზრდას, წარმოიშვა საჭიროება, ადრეულ ასაკში ბავშვსა და მის განათლებაზე ზრუნვა ოჯახს სხვა ინსტიტუტისთვის გაეაზრებინა. ასეთი დაწესებულებები შეიქმნა მე-19 საუკუნის შუა ხანებში შოტლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში და ნელ-ნელა სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. დღეს უკვე ბევრ ქვეყანაში სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმრავლესობა სკოლამდელი დაწესებულების ცენტრში ატარებენ, ამიტომ მომავალი თაობის ჯანსაღი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლამდელი განათლების სექტორის განვითარებას.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეულ განათლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ისე საზოგადოების განვითარებისთვისაც. კვლევები სრულად განსხვავებული დისციპლინების: ეკონომიკის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის ფარგლებში ხორციელდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი მასტიმულირებელ და უსაფრთხო გარემოში იზრდებოდეს, სადაც ის შეძლებს განავითაროს სხვადასხვა უნარი და დაიკმაყოფილოს ბუნებრივი მოთხოვნები. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბავშვის ფსიქიკა ამ პერიოდში განსაკუთრებით ფაქიზია და მუდმივად მოითხოვს ზრდასრულის მზრუნველობას, თანადგომას.

ადრეული განათლების ეკონომიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირებულ გამოკვლევათა შორის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ჰეკმანის კვლევებს, რომლებიც აანალიზებს სკოლამდელ განათლებაში დაბანდებული ინვესტიციების შედეგებს, სხვადასხვა კონტექსტში. მეცნიერი თვლის, რომ ყველაზე დიდი ფინანსები სწორედ სკოლამდელ განათლებაში უნდა ჩაიდოს. ჰეკმანი ხაზს უსვამს ადრეულ ასაკში ინვენსტირების მნიშვნელობას სოციალური

თუ ეკონომიკური პრობლემების მქონე ბავშვებისათვის. მას მიაჩნია, რომ ინვენსტირება არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისათვის იშვიათი საჯარო პოლიტიკის ინიციატივაა, რომელიც ხელს უწყობს სამართლიანობასა და სოციალურ თანასწორობას. არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისათვის გამიზნულ ადრეულ ინვესტიციას გაცილებით მეტი შედეგი მოაქვს, ვიდრე გვიან, ისეთს, როგორიცაა სკოლაში მასწავლებლისა და მოსწავლეების დაბალი თანაფარდობა, სამსახურისთვის მზადება, სწავლის სუბსიდირება ან პოლიციის ხარჯები.

კვლევები განვითარების ფსიქოლოგიასა და განათლების მეცნიერებაში ცხადყოფს, რომ სკოლამდელი ასაკის კოგნიტური ემოციური, მეტყველებისა და სოციალური განვითარებისათვის კრიტიკული პერიოდია. სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას, სკოლისათვის მომზადებას და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

საფრანგეთი. კვლევამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლამდელ ასაკის 20000-ზე მეტმა ბავშვმა დაადგინა, რომ რაც უფრო მეტხანს დადიოდა ბავშვი სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში, მით უფრო მაღალი ნიშნები ჰქონდა დაწყებითი საფეხურის კლასში, ყველაზე სავალალო შედეგები კი არახელსაყრელ პირობებში მცხოვრებმა ბავშვებმა აჩვენეს.

დიდი ბრიტანეთი. დიდი ბრიტანეთის მასშტაბით შემთხვევით შერჩევის გამოყენებით ჩატარებული კვლევის 2003 წლის ანგარიშის მიხედვით, სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას განსაკუთრებით კი არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები ბავშვებისათვის .შედეგი უკეთესია, როდესაც სკოლამდელი დაწესებულების დაწესებულებებში სხვადასხვა წარმომავლობისა და სტატუსის მქონე ბავშვები ერთად სწავლობენ. რაც უფრო მაღალია მასწავლებლის კვალიფიკაცია, მით უფრო დადებითია შედეგიც.

აშშ. კალიფორნიის შტატში ჩატარებული კვლევის 2005 წლის ანგარიშის მიხედვით, თუ ბავშვი დადიოდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, მეტი იყო ალბათობა დაემთავრებინა საშუალო სკოლა, ზრდასრულ ასაკში ჰქონდა მაღალი ხელფასი და ნაკლებად - ჩართული იყო რაიმე სახის კრიმინალში. ასეთი კვლევები, რომლებიც ამტკიცებს ადრეული განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბავშვთა სასკოლო, სოციალური და პროფესიული წარმატებისთვის, მრავლად ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

შემუშავდა მინიმალური სტანდარტი, რომელიც 10 ძირითად პუნქტს მოიცავს:

1. ერთ წლამდე დეკრეტული შვებულება ხელფასის 50%-იანი ანაზღაურებით.
2. ეროვნული სტრატეგია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არახელსაყრელ პირობებში მცხოვრებ ბავშვებს.
3. სუბსიდირებული და რეგულირებადი ბავშვზე ზრუნვის სერვისები სამ წლამდე ასაკის ბავშვების 25%-ისთვის.
4. სუბსიდირებული და აკრედიტებული ადრეული განათლების სერვისები 4 წლის ბავშვების 80%-ისთვის.
5. ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომელთა 80%-ის სათანადო პროფესიული მომზადება.
6. ადრეული განათლების აკრედიტირებულ დაწესებულებებში თანამშრომელთა 50% უმაღლესი განათლებით შესაბამის სფეროში.
7. ადრეული განათლების დაწესებულებებში თანამშრომლებისა და ბავშვების მინიმალური თანაფარდობა 1:15.
8. მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ის გაღება ადრეულ ასაკში ბავშვთა სერვისების უზრუნველსაყოფად .
9. ბავშვთა სიღარიბე არაუმეტეს 10%-ისა.
10. თითქმის ყველა ბავშვის უზრუნველყოფა ძირითადი ჯანსაღი სერვისებით.

ამ სტანდარტების ათივე პუნქტს მხოლოდ ერთი ქვეყანა შვედეთი აკმაყოფილებს, 9 პუნქტს -ისლანდია, 8-ს დანია, ფინეთი, საფრანგეთი და ნორვეგია.

გასათვალისწინებელია, რომ სტანდარტები მოითხოვს სახელწიფოს მნიშვნელოვან ჩართულობას ბავშვის ადრეულ განათლებასა და ჩართულობაში, რაც ზოგიერთ ქვეყანაში, ტრადიციულად ოჯახისა და კერძო სექტორის ვალდებულებად მოიაზრება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიც არის, მაგალითად, ირლანდია, აშშ, ავსტრია, ესპანეთი და კანადა, მხოლოდ სამ ან ნაკლებ პუნქტს აკმაყოფილებს. ამასთანავე, რთულია მხოლოდ ამ სტანდარტების საშუალებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სისტემების შედარება. მაგალითისთვის, ხარისხის ინდიკატორი-ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების თანამშრომელთა 80%-ს სათანადო პროფესიული მომზადება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ესმოდათ; ერთ შემთხვევაში იგულისხმებოდა ერთთვიანი მომზადება, მეორეში კი ორწლიანი განათლება უმაღლესი განათლების საფეხურზე.

ეს ზოგადი სტანდარტები, რომლებიც ბავშვთა ზოგად მდგომარეობას ადრეული განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას უკავშირდება არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვისაც, როგორიცაა საქართველო.

სტანდარტების ადგილობრივ კონტექსტთან და განათლებაში არსებულ ტრადიციებთან შეჯერებით შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ყველაზე უკეთ დაიცავს ბავშვთა ინტერესებსა და უფლებებს.

დღეს, როდესაც მრავალი სამეცნიერო კვლევა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს სკოლამდელი განათლების პოზიტიურ გავლენას სკოლაში ბავშვის წარმატებაზე, მომავალში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე, ვფიქრობთ, დროული იქნება ქვეყნების ძალისხმევა ამ სფეროში ინვესტირების გასაზრდელად.

ამრიგად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის პრობლემების გადასაჭრელად მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღის აღმზრდელს განუვითაროთ ისეთი უნარ-ჩვევები, რითაც შეძლებს სკოლასა და საზოგადოებაში წარმატების მიღწევას.

არსებობს ისეთი ქვეყნები, რომლებიც ბავშვის განვითარებისთვის ქმნის მინიმალურ სტანდარტებს, რომელიც ყველა ქვეყნისთვის გასათვალისწინებელია. აქვე აუცილებელია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა და მათ შორის საქართველომაც შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ყველაზე უკეთ დაიცავს ბავშვის ინტერესებსა და უფლებებს.

§. 2 სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ელექტრონული წყაროების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების აღმზრდელთა და პედაგოგთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება სავალდებულოა. საკითხი სამართლებრივად რეგულირდება სხვადასხვა კანონებით, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ (ჩეხეთი, დანია), „ბავშვთა მოვლის შესახებ“ (,,childcare Act''), (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია), ,,სკოლამდელთა განათლების შესახებ“ (აშშ) ,,საბავშვო ბაღების შესახებ''(ნორვეგია),,სკოლამდელი განათლების და მოვლის ცენტრის შესახებ''(იაპონია) სკოლამდელი ინსტიტუტის შესახებ'' (სლოვენია) ,,სკოლამდელი განათლების შესახებ'' (ფინეთი), ,,განათლების და მოვლის ეროვნული რეგულაციები''(ავსტრალია).

სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც თანამშრომელთა პროფესიული მხარდაჭერის მიზნით, წარმოაჩენს მათი კარიერული ზრდის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს.

კვალიფიკაციის ამაღლების თანამედროვე კურსები მოიცავს პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, უნარშეზღუდულ ბავშვებთან მუშაობის მეთოდიკის შესწავლას. სხვა კურსები ფასიანია და მათი საფასურის გადახდა ეკისრება ერთდროულად სამ მხარეს:

პედაგოგს, დამქირავებელსა და სახელმწიფოს. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში პედაგოგი გათავისუფლებულია გადასახადებისგან და საფასურის გადახდა ეკისრებათ მხოლოდ დამქირავებელსა და სახელმწიფოს.

მასწავლებლის მიმართ მოთხოვნებს შორის აღსანიშნავია დადებითი, სოციალურ-ემოციური კლიმატის შექმნის უნარი. პედაგოგი უნდა გაეცნოს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს და ინტერესებს, განსაზღვროს მისი ნიჭიერება. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების პროფესიული განვითარების სტანდარტები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია სხვადასხვა ქვეყნებში .

ფინეთში. სკოლამდელ და დაწყებითი განათლების სექტორებში უნდა მუშაობდნენ უმაღლესი განათლებით. სკოლამდელი დაწესებულების სპეციალისტს დამთავრებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრიატი, სკოლამდელი განათლების პედაგოგიკის სპეციალობით. სპეციალისტს შეუძლია მიიღოს სპეციალური ან საკორექციო სწავლების მასწავლებლის დამატებითი კვალიფიკაცია გონებრივად ჩამორჩენილი და შენელებული ფსიქიკური განვითარების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ, შესაბამისი სპეციალიზირებული პროგრამის გავლის შემდეგ.

ავსტრალიაში. საკმაოდ პოპულარულია ე.წ „მენტორების“ პრაქტიკა, როდესაც პროფესიული მენტორობის პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდა მასწავლებელი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მაღალკვალიფიციურ პედაგოგთან ერთად ატარებს გაკვეთილებს მისგან გამოცდილების გაზიარების, კონსულტაციისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით

გერმანიაში. სკოლამდელი განათლების აღმზრდელს უმაღლესი განათლება მიღებული უნდა ჰქონდეს პედაგოგიურ ან სოციალურ-პედაგოგიურ სფეროში, თეორიულ კურსებთან ერთად საჭიროა პრაქტიკული პედაგოგიური მომზადება სპეციალიზირებულ

ინსტიტუტებსა და სკოლებში. პედაგოგების შერჩევისას სკოლამდელ დაწესებულებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ შემოქმედებით პოტენციას.

აშშ-ში. არსებობს სხვადასხვა პროფესიული ორგანიზაციები და ასოციაციები, რომლებიც აწყობენ ყველა დონის, მათ შორის, სკოლამდელი განათლების პედაგოგების სხვადასხვა მოკლევადიან კურსებს, სემინარებს და ვორკშოფებს. კურსებზე დასწრება ითვალისწინებს საორგანიზაციო შენატანის გადახდას. ამასთან ტარდება კონფერენციები, რომლებიც სხვადასხვა შტატების და ქვეყნების პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებაა.

სკოლამდელ აღმზრდელებს შეუძლიათ დაგეგმონ ღონისძიებები თავიანთი პროფესიული განვითარებისთვის ერთი სასწავლო წლით ადრე. თუ საბავშვო ბაღს არ აქვს საშუალება, დაფაროს საჭირო თანხები თავისი აღმზრდელის მონაწილეობისთვის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში, ამის სანაცვლოთ ქვეყანაში ამოქმედდება კარგად განვითარებული მენტორების სისტემა.

სკოლამდელი დაწესებულებები შეიძლება იყოს კერძო, სახელმწიფო, საეკლესიო, საზოგადოებრივი და ა.შ არსებობს ,,სკოლამდელი ლაბორატორიების'' ჯგუფები , რომელთა მიზანია კვლევით საქმიანობასთან ერთად მასწავლებელთა მომზადების უზრუნველყოფა.

დიდ ბრიტანეთში სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება, რომელსაც მიიღებენ პედაგოგიურ კოლეჯში ან უნივერსიტეტში სპეციალური პედაგოგიური მომზადებით სკოლამდელი პროგრამის დასასრულისთვის. მათ ფსიქოლოგიურად უნდა მოამზადონ ბავშვები საშუალო სკოლაში უმტკივნეულოდ გადასასვლელად.

საფრანგეთში აღმზრდელებისა და პედაგოგის განათლების დონე არ უნდა იყოს ბაკალავრიატზე დაბალი. აღმზრდელებმა კარგად უნდა გაიცნონ აღსაზრდელი და უნდა

შეისწავლონ მათი ფსიქოლოგიური თავისებურები. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თამაშის, როგორც სწავლების ბუნებრივი ფორმის, გამოყენების უნარი.

სამხრეთ კორეაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელის კვალიფიკაციის ამაღლებას ჯგუფში მუშაობის პროცესში. ამგვარი პროფესიული განათლების და განვითარების აღსანიშნავად გაჩნდა ცნება ,,პედაგოგიური კვლევა'', რომელიც თავისი არსით ექსპერიმენტალურია და იძლევა ამა თუ იმ პედაგოგიური მეთოდების ტესტირების საშუალებას. ამგვარი კვლევითი საქმიანობა კორეაში ითვლება სავალდებულოდ.

ჩინეთში სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგებისთვის არსებობს განსაზღვრული საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ითხოვს სპეციალური პედაგოგიური განათლების მიღებას, სპეციალიზირებულ პედაგოგიურ სწავლებაზე არა ნაკლებ დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ამგვარად, კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ორგანიზაციის მსოფლიო გამოცდილება უჩვენებს რომ არსებობს სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა გზები. პროფესიული განვითარებისკენ მიმართული აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, კოლეგიალური გამოცდილების გაზიარებაზე ან მენტორობის სისტემაზე განვითარებული და ა.შ პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია როგორც სპეციალურად ორგანიზებული კურსების ფარგლებში, ასევე ყოველდღიურ პრაქტიკულ პროცესში,

სკოლამდელი აღმზრდელის მაღალი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ემსახურება სკოლამდელი აღსაზრდელების მომზადებას საშუალო სკოლაში სწავლის გაგრძელებისთვის.

§.3 აღმზრდელ-პედაგოგის ავტორიტეტი და ბავშვთან ურთიერთობის ეფექტურობა

პედაგოგისა და ბავშვის ურთიერთობისას, ბავშვზე პოზიტიური ზემოქმედების გასაგრძელებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგის იმიჯს, როცა ბავშვს გაკვეთილს ავტორიტეტული მასწავლებელი უტარებს, ბავშვს უკვე აქვს იმის განწყობა, რომ ყურადღებით მოისმინოს ახსნილი მასალა და დაინტერესდეს საგნით. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, ავტორიტეტული მასწავლებელი არ უნდა ცდილობდეს მოსწავლეთა პასიურობის დაძლევას და სხვადასხვა საშუალებებით მათ ჩართვას სასწავლო პროცესში.

თანამედროვე გამოკვლევები მოწმობს იმას, რომ ადამიანებს შეეცვალათ წარმოდგენა მასწავლებლებზე და მის ავტორიტეტის წყაროებზე. ეს ცვლილებები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ : ავტორიტეტის შექმნასა და განმტკიცებაში იზრდება პირადი ძალისხმევის წილი და მცირდება როლური პოზიციის წილი. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებლის სტატუსი აღარაა საკმარისი ბავშვებში ავტორიტეტის მოსაპოვებლად. ამისათვის საჭიროა კონკრეტული პიროვნული უნარების წარმოჩენა და ამოქმედება.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი თვლის რომ, ,, მასწავლებლის იდეალი'' არ იცვლება. მცირე ნაწილის აზრით კი, ეს იდეალი შეიცვალა და ამ მხრივ შეიძლება დადებითი და უარყოფითი მომენტების გამოყოფა. დადებითია ის ,რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დისტანცია შემცირდა, ჩამოყალიბდა ურთიერთობის უფრო მჭიდრო, უშუალო ფორმები. უარყოფითია, მასწავლებლის ზოგადი მსოფლმხედველობისა და ინტელიგენტურობის დაქვეითება.

შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი პედაგოგიური უნარი, რომლებიც აუცილებელია პედაგოგის ავტორიტეტის მოსაპოვებლად და მოსწავლეებთან ეფექტური ურთიერთობის დასამყარებლად.

ესენია:

- სასწავლო პროცესის შესწავლის, შეფასების გარდაქმნისა და მართვის უნარი;
- სასწავლო მასალის შინაარსზე მუშაობის უნარი;
- ბავშვის ტიპიური სიძნელეების გათვალისწინების უნარი;
- ბავშვის ნდობის გამოწვევის უნარი;
- საკუთარი ძლიერი მხარეების განმტკიცების უნარი;
- ბავშვის ცოდნის დონის განსაზღვრის უნარი;...

ჩამოთვლილთაგან გარდა შეიძლება დასახელდეს უამრავის სხვა უნარი თუ თვისება, რომელიც მასწავლებლის ავტორიტეტს განსაზღვრავს.

პედაგოგი/აღმზრდელი და ბავშვებს შორის დამოკიდებულება

მონაცემები, პირად ურთიერთობათა სისტემაში ბავშვის მდგომარეობისა და ამ მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტების შესახებ, ეხმარება აღმზრდელ-პედაგოგს ბავშვთა ჯგუფში ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად. რა თქმა უნდა , ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა. ცნობილია, რომ აღმზრდელის დამოკიდებულება ბავშვებისადმი გავლენას ახდენს ბავშვების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაზე. ზოგჯერ აღმზრდელი დაუფიქრებელი შენიშვნებით და შეფასებებით უნებლიედ იწვევს ამა თუ იმ ბავშვის მიმართ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. დაუშვებელია შენიშვნები, რომლებიც აღსაზრდელის პიროვნებას ეხება: „შენ საერთოდ ზარმაცი ხარ“,“ შენ ყოველთვის ყველას

უშლი“. დაუშვებელია მთელი ჯგუფის მიმართ გაცემული განკარგულებები: „არ იმეგობროთ ნიკასთან“ და სხვა.

ბავშვების მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მარტო ამ ტიპის შენიშვნები, არამედ ზედმეტი შექებაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ შექებისას ხდება სხვა ბავშვებთან შედარება: ; აი, რა კარგი ბიჭია ირაკლი, შენ კი არ გგავს“. ამგვარი შედარებისა და დაპირისპირების შედეგად კარგი ბავშვები ფსიქოლოგიურ იზოლაციაში იმყოფებიან.

პედაგოგი/აღმზრდელი უნდა შეეცადოს ნაკლებ კონტაქტური ბავშვის დამეგობრებას ჯგუფთან ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს, გთავაზობთ რჩევებს:

1. ჩართეთ ბავშვი საინტერესო საქმიანობაში;
2. დაეხმარეთ ბავშვს წარმატებას მიაღწიოს იმ საქმიანობაში, რომელზეც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული მისი მდგომარეობა;
3. შეეცადეთ დაძლიოთ აფექტურობა, რაც ხშირად არის ფსიქოლოგიური იზოლაციის მიზეზი;
4. მორცხვ, გაუბედავ ბავშვს შორის კონტაქტის დამყარების უნარი;

ყველაზე მთავარია - თქვენსა და ბავშვს შორის კონტაქტის დამყარების უნარი. ბავშვმა უნდა დაინახოს, რომ მის მიმართ ყურადღებიანი ხართ, , კარგად ექცევით. იმისათვის, რომ მორცხვი ბავშვი გამოიყვანოთ მდგომარეობიდან აუცილებელია მისი ჩართვა აქტივობებში.

შეიძლება გამოიყოს პედაგოგის/აღმზრდელის ჯგუფთან ურთიერთ დამოკიდებულების შემდეგი სტილი:

1. აქტიურ - დადებითი - ბავშვებთან მეგობრულია, ეხმარება სიძნელეების დაძლევაში, ხელს უწყობს ბავშვების აქტივობას, ინიციატივას;

2. პასიურ - დადებითი - ზოგადი დადებითი, ემოციური დამოკიდებულების ფონზე გარეგნულად თავშეკავებულია და ურთიერთობებში სიცივეს ამჟღავნებს;

3. სიტუაციური - ზოგადი დადებითი დამოკიდებულების ფონზე გარეგნულად ხან „ლიბერალურია“ ხან - „დიქტატორი“.

4. აქტიური - უარყოფითი - მკაცრია, მომთხოვნი, ბავშვების სიძნელეებს ნაკლებად ითვალისწინებს.

5. პასიურ - უარყოფითი - ახასიათებს ფორმალიზმი ან ზედმეტი ლიბერალიზმი, რომლის უკან ბავშვების მიმართ გულგრილობა იმალება.

ზოგ შემთხვევაში საჭიროა ბავშვებს გავაცნოთ მისი მდგომარეობა პირად ურთიერთობათა სისტემაში. ოღონდ ეს ძალიან ფრთხილად, ბავშვისათვის მისაწვდომი ფორმით, და აუცილებელია პირისპირ საუბარში უნდა გაკეთდეს. ზემოქმედების ეს ფორმა ზოგჯერ სასარგებლოა, მიუხედავად ბავშვის ტრამვების საფრთხისა, სანამ ამგვარ რისკზე წახვალთ მკაფიოდ უნდა გააცნობიეროთ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია თქვენსა და ბავშვს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ამრიგად, ბავშვი ის არსებაა, რომელსაც ყოველთვის გაფრთხილება სჭირდება, სასურველია მისი მორალური და ფსიქიკური თვისებების გაფრთხილება. ბავშვის განვითარებაში დიდი ადგილი ეთმობა მასწავლებელსა და მის იმიჯს. შეიძლება დავასახელოთ აღმზრდელისა და აღსაზრდელის ის სტრატეგიები, რომელიც გამოიწვევს დადებით და უარყოფით თვისებებს. ბავშვს ყოველთვის სჭირდება გვერდში ყოფნა და თანადგომა.

§. 4 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საგანმანათლებლო სტანდარტების მიმოხილვა

დამტკიცდა ადრეული და სკოლამდელი განათლების , მათ შორის სასკოლო მზაობის, საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტები. თუ გავითვალისწინებთ

სკოლამდელი აღზრდის სისტემაში წლების განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგების მიხედვით ამ დოკუმენტის მიღება არა თუ დროული, დაგვიანებულიც კი არის. პრობლემა მართლაც ბევრია მათ შორის უპირველესი, ალბათ, მაინც ბაღებში დარეგისტრირება და ადგილების სიმცირეა. ძალიან ბევრი ბავშვი რჩება ბაღის მიღმა და მათთვის სტანდარტი, თუნდაც საუკეთესო, ვერაფერს შეცვლის. მნიშვნელოვანია ასევე აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაცია და ბაღებში სპეც. მასწავლებლის არსებობა. რამდენად შეძლებს ეს დოკუმენტი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ ვერ თუ არ გადაჭრილი პრობლემების მოგვარებას და ხომ არ დარჩება ახლად მიღებული სტანდარტები მხოლოდ ფურცლებზე, ამას მხოლოდ დრო გვანახებს.

აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული სტანდარტით დადგინდა, რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა ფლობდნენ ისინი, ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, სააღმზრდელო- პედაგოგიური საქმიანობის დაგეგმვის წარმართვისა და შეფასებისთვის

არსებული კანონმდებლობით, საბავშვო ბაღებში მუშაობა ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლისთვის ნებადართულია, ახალი სტანდარტით, ბაღში მხოლოდ სკოლამდელი აღზრდის და განათლების სფეროს სპეციალისტები დასაქმდებიან.

2015 წლისთვის შემუშავდა სკოლამდელი განათლების კანონი, რომელიც აწესრიგებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს. იგი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების ვალდებულებებს, ფუნქციებს უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები განსაზღვრავენ, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღსაზრდელის ფარგლებში.

სტანდარტის მიზნებია: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა;

სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების მიზნით მისაღწევი შედეგების განსაზღვრა დაბადებიდან ზოგადი განათლების საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე;

ბავშვის ფიზიკური და ემოციური განვითარების უზრუნველყოფა; ბავშვის კოგნიტური განვითარებისა და სკოლისათვის მომზადების უზრუნველყოფა;

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელია გარემოს შექმნა;

ბავშვის განმავითარებელი და პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობაა;.

შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისათვის სკოლამდელი განათლების განვითარების პროცესში რამდენიმე ინსტიტუტია ჩართული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები, სურსათის ეროვნული სააგენტო, მთავარი მიზანია, გაიზარდოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი.

დღეს, საბავშვო ბაღებში დასაქმებულია აღმზრდელები იმისათვის, რომ აღმზრდელების იდენტიფიცირება მოხდეს აღმზრდელ-პედაგოგებად და სტატუსი მიენიჭოთ მათ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ტრენინგ-მოდულის მიხედვით, ტრენინგები უნდა გაიარონ. ტრენინგების გავლის შემდეგ, ვინც დააკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს, მიენიჭება აღმზრდელ-პედაგოგის ხარისხი (სტატუსი).იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებს , რჩება აღმზრდელად, თუმცა უფლება აქვს იმუშაოს საბავშვო ბაღში და გაიაროს ხელმეორედ ანალოგიური ტრენინგი. იმისათვის რომ არ დავკარგოთ კადრები და არ შეიქმნას დეფიციტი, მათ სტატუსი ამგვარად მიენიჭებათ. გადამზადების პროცესი 2018

წლის იანვრიდან დაიწყო ტრენერებად გადამზადნენ მეთოდისტები, დარგის სპეციალისტები, პროფესურა, რომელიც ამ დარგში მუშაობს.

სიახლეა მუსიკის მასწავლებლის, აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტები, სადაც განსაზღვრული დასაუფლებელია კვალიფიკაცია, ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე სიახლეა ქართულის, როგორც მეორე ენის, აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოქმედ ბაღებს, შეუძლია ჰყავდეს ქართული ენის მასწავლებელი. სტანდარტით განსაზღვრულია ის ცოდნა და უნარ-ჩვევები. რა საკვირველია, პირველ რიგში, ქართული ენის ცოდნა, ამასთან ერთად -ელემენტარული კომუნიკაციის დონე იმ ეროვნული უმცირესობის ენაზე, რომელ რეგიონშიც მდებარეობს ბაღი, რომ იოლი იყოს ბავშვებთან ურთიერთობა და შედეგიანი სახელმწიფოს ენის სწავლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების მიმართულება. თორმეტი წელია

ინკლუზიური განათლებისაკენ მივდივართ და დროა, საბავშვო ბაღშიც დაიწყოს პროცესი. ამისათვის საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურა სპეც. მასწავლებელი, რომელიც იურიდიულად იმუშავებს ბავშვთან, ლოგოპედი, ფსიქოლოგი და სხვა.

აღზრდელ-პედაგოგის სტანდარტებში განსაზღვრულია აღმზრდელ-პედაგოგის განათლება - სწავლის სფეროები, აკადემიური ხარისხები და სამუშაო გამოცდილება, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა საბავშვო ბაღებში აღმზრდელ-პედაგოგად მუშაობის დასაწყებად. განათლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები იყოფა ორ ნაწილად: საბავშვო ბაღებში დასაქმებული/სტანდარტის ამოქმედებიდან, 2024 წლის 01 სექტემბრამდე, დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგის განათლება და 2024 წლის 01 სექტემბრიდან დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგის განათლება.

განსხვავება 2024 წლის 01 სექტემბრამდე დასაქმებულ/დამსაქმებელი და 2024 წლის 1 სექტემბრის შემდეგ დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგისათვის შემოთავაზებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მდგომარეობს იმაში, რომ 2024 წლის 1სექტემბრამდე დასაშვებია, რომ აღმზრდელ-პედაგოგს შეიძლება არ ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან

გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ მიმართულებაში, მაშინ როდესაც 2024 წლის 1 სექტემბრიდან დასაქმებულ აღმზრდელ-პედაგოგს მოეთხოვება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დონე. 2024 წლის 01 სექტემბრამდე აღმზრდელ-პედაგოგს შეიძლება ჰქონდეს ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი, შემდეგ წლებში კი იქნება ბაგა-ბაღების აღმზრდელი სტატუსი.

შემუშავდა აღმზრდელის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი

ჯგუფები	ასაკი	აღსაზრდელი	აღმზრდელი
ბაგა	2-დან 3-წლამდე	15	3
ბაღის უფროსი ჯგუფი	3-დან 4 წლამდე	24	3
საშუალო ჯგუფი	4-დან 5 წლამდე	27	3
უფროსი ჯგუფი	5-დან 6 წლამდე	30	3

ასე, რომ, ახალი სტანდარტის დანერგვა ძალიან დიდი და შრომატევადი პროცესია, ძალიან მდიდარ ქვეყნებსაც ამისათვის წლები სჭირდება. თუ გვინდა, რომ სრულყოფილი პიროვნება გავზარდოთ, საბავშვო ბაღიდანვე უნდა ვიზრუნოთ ამაზე. ბავშვის განვითარების ყველა პერიოდი მნიშვნელოვანია, სკოლამდელი - განსაკუთრებით ფაქიზი და მნიშვნელოვანია. ამიტომ ყოველმხრივი ინტერვენციაა საჭირო, რომ შედეგზე გავიდეთ და ხარისხი ამაღლდეს.

თავი მეორე: სასკოლო მზაობის ჯგუფში მუშაობის თავისებურებები

§. 5 სასკოლო მზაობის ჯგუფში ჩარიცხვის ასაკის პრობლემები

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში აღმოჩნდა მრავალფეროვანი მასალა ბავშვის სწავლის დაწყების ასაკთან მიმართებაში. საკითხი ეხება ბავშვის სკოლამდელ მზაობას. იგი დღესაც აქტუალური პრობლემაა და ამიტომ გადავწყვიტე ნაშრომში ჩამერთო უახლოეს პერიოდში არსებული ვითარების მიმოხილვა.

როგორც ცნობილია, 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება 5 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში, I კლასში ჩარიცხვის შესახებ.

მოვლენა, რომელიც საკმაოდ მასშტაბური იყო და ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობებს უშუალოდ ეხებოდა, არც აკადემიურ წრეებში და არც ფართო საზოგადოებაში წინასწარ საფუძვლიანად განხილული არ ყოფილა. კითხვები კი, რომლებიც ალბათ ჯობდა საკითხის გადაწყვეტამდე დასმულიყო, ასეთია: არის თუ არა 5 წლის ასაკის ბავშვი ინტელექტით და სოციალურ-ემოციური განვითარებით მზად სკოლაში წასასვლელად? მოხდა თუ არა ეროვნულ სასწავლო გეგმაში შინაარსისა და სასწავლო მიზნების ძირეული ცვლილებები, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით? მოხდა თუ არა მასწავლებელთა გადამზადება და სკოლის ინფრასტრუქტურული ცვლილება ამ საკითხის ბავშვების მისაღებად? რამდენად ეხმიანება და ითვალისწინებს ეს ცვლილება არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირების სახელმწიფო პოლიტიკას? რამდენად იყო ამ ცვლილების მიღებისას გათვალისწინებული სხვა ქვეყნების გამოცდილება და რა კვლევები უძღოდა წინ ამ ცვლილებებს?

როგორც სახელმწიფომ მედია საშულებებით გვაუწყა, ჩვენს ქვეყანაში ბავშვები საკმაოდ აქსელერირებულები არიან საამისოდ, რომ სკოლაში სწავლა 5 წლის ასაკში დაიწყონ. თუმცა, რომელ კვლევას ეყრდნობა და რა იგულისხმება აქსელერაციაში ნათელი არ არის.

„ფსიქოლოგიაში 5 წლის ასაკის ბავშვი ითვლება თამაშის და არა სწავლის სუბიექტად. შესაბამისად 5 წელი სკოლამდელ ასაკად მოიაზრება. სკოლისათვის მოსამზადებლად კი საბავშვო ბაღია გათვალისწინებული. 5 წლის ბავშვის პირდაპირ სკოლაში შეყვანა არა მარტო მიუღებელია, საშიშიცაა“ - ამბობს ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს - პროფესორი, ფსიქოლოგი ნათელა იმედაძე. მისი თქმით, - კანონის ეს ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ სკოლა 5 წლის ბავშვს სპეციალურ პირობებს შეუქმნის, თუ სწავლა თამაშის მეთოდს დაემყარება, I კლასი მოსამზადებელი პერიოდი იქნება. თუმცა კანონი სკოლამდელი მოსამზადებელი კლასის არსებობას არ ითვალისწინებს.

„ჩვენთან ყველა თავისებურად განიხილავს იმ საკითხს, თუ რას ნიშნავს სკოლისათვის მომზადება. ძალიან ბევრს ეს ესმის როგორც წერა-კითხვის სწავლება“ - ამბობს ნეიროფსიქოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ გაგოშიძე. „ცნება - სკოლისათვის მზაობა - ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში რამდენიმე კომპონენტს გულისხმობს. ეს არის შემეცნებითი, ანუ კოგნიტური, მზაობა, ნებელობითი, ფიზიკურ და ემოციურ-პიროვნული მზაობა. თუ ბავშვი აქედან ერთი კომპონენტით ჩამორჩება თავისი ასაკისთვის შესაბამის მაჩვენებელს, მისი სკოლაში მიბარება დაუშვებელია“.

თამარ გაგოშიძის აზრით, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან წერა-კითხვის სწავლება და სკოლისათვის მზაობა. ბავშვმა შეიძლება ძალიან კარგად ისწავლოს წერა- კითხვა, შევიდეს სკოლაში და მეორე კლასში დაიწყოს ჩამორჩენა ეს სკოლისათვის მზაობის აუცილებელი კომპონენტებიდან ერთ-ერთის ნაკლებობით აიხსნება და ასე გამოიხატება: თავიდან ნიჭიერების, კარგი სმენითი და მხედველობითი მეხსიერების „ხარჯზე“ ბავშვი ახერხებს ყველაფრის დამახსოვრებას. როცა ხედავს, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს ეს მოსწონთ, წახალისებულია, ცდილობს მაქსიმალური გააკეთოს და გამოსდის კიდეც იზეპირებს ასოებს, მარცვლებს. მაგრამ როგორც კი შესასწავლი მასალა იზრდება, მოტივაცია უფრო და უფრო იკლებს და ბავშვს პროგრამის

დაძლევა უჭირს. „მერე აღმოჩნდება, რომ ამ ბავშვს კითხვის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ ელემენტარულ ფონოლოგიური უნარი ჯერ არა აქვს მომწიფებული, არ შეუძლია ფონემა გრაფემაში გადაიყვანოს და პირიქით. ამიტომ სპეციალური თამაშები სჭირდება, რომლითაც ამ პრობლემას დაძლევს. ასე თუ არ მოვიქცევით, რაც არ უნდა ძლიერი ინტელექტი ჰქონდეს, ის კითხვას ვერ ისწავლის. ამბობს ქ-ნი თამარ გაგოშიძე, რომელიც ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში „ბავშვის განვითარების ადრეული იდენტიფიკაციისათვის“

იმავე პრობლემას გამოყოფს ქ-ნი ნათელა იმედაძეც. „ბავშვმა სიტყვა უნდა განიცადოს, შეაფასოს როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, მისთვის სიტყვა გამჭვირვალეა და ის მხოლოდ მის შინაარსთან და მნიშვნელობასთან პროვოცირდება ამის დასაძლევად ძალიან საინტერესო ფსიქოლოგიური მეთოდები არსებობს, რაც საბავშვო ბაღებში უნდა გამოიყენებოდეს, იმის შესამოწმებლად, რამდენად შეუძლია ბავშვს კითხვისას შინაარსის გამოყოფა, რომლის აღქმა თავიდან გლობალური და დიფუზურია, ეკითხებიან რამდენი სიტყვაა წინადადებაში „სამი ბიჭი თამაშობს ეზოში „? პასუხი, როგორც წესი არის -სამი. ან რომელი სიტყვაა უფრო გრძელი ჭიანჭველა თუ გველი? პასუხობს -გველი ასეთ დროს ბავშვს ინტელექტის მაჩვენებელი შეიძლება თავისი ასაკის შესაბამის მაჩვენებელზე მაღალიც ქონდეს და ადვილად შეძლოს ასოების დაზეპირება, რის გამოც ფონოლოგიური განვითარების პრობლემა ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება და გვიან იჩენს თავის. ამდენად, ცხადი ხდება განსხვავება წერა- კითხვის სწავლებისა და სკოლისათვის მომზადებას შორის , რასაც ხშირად სკოლებში, ისევე როგორც სკოლამდელი დაწესებულებებში ყურადღებას არ აქცევენ. პრობლემური იქნება 5 წლის ბავშვის ექვს წლიანებთან ერთ ჯგუფში ყოფნაც, რადგან ამ ასაკში მათ სხვა ტიპის აქტივობები სჭირდებათ, ვიდრე 6-7 წლის ბავშვებს. ეს ეხება გაკვეთილებისა და დასვენების ხანგრძლივობასაც -5 წლის ბავშვს გაცილებით ცოტა ხანს შეუძლია ყურადღებისა და ნებისყოფის მობილიზება. შესაძლებელია პრობლემა ინდივიდუალურ მიდგომებითაც მოგვარდეს, თუმცა ეს ძნელად განსახორციელებელი ხდება იმ

პირობებში, როცა ჯგუფში 30-35 ბავშვია შეიძლება 5 წლის ბავშვმაც დაძლიოს პროგრამას, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია და გამონაკლისად ითვლება. უმეტესობას არ შეუძლია მოერგოს იმ მოთხოვნებს, რასაც სკოლა უყენებს და ამის გამო თავს იჩენს დაბალი თვითშეფასების პრობლემა, რაც ბავშვის მომავალი განვითარებისთვის სერიოზულ შეფერხების გამომწვევია. როცა ბავშვი ხედავს ,რომ მისი თანატოლები კარგად ფლობენ მასალას, გამართულად ზის გაკვეთილზე, კარგად წერს-და კითხულობს თვითონ კი ყოველივე ამას თავს ვერ ართმევს სულ უფრო და უფრო ნაკლებად ინიციატივიანი ხდება, ნაკლებად ცდილობს საკუთარი ძალები მოსინჯოს.

სპეციალისტების აზრით, სწორედ ბაღის დამამთავრებელი ეტაპია 5 წლის ბავშვისთვის ოპტიმალური, როცა მან შეიძლება სკოლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები შეიძინოს.

სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში განსხვავებულია როგორც სკოლაში მიღების ასაკი, ისე დაწყებითი კლასის ცნების განსაზღვრება და სკოლამდელი და სკოლის სასწავლო პროგრამისადმი მიდგომის პრინციპებიც. ოღონდ ერთი რამ, ძირითადად, საერთოა. იქ, სადაც სავალდებულო სწავლება 5 წლიდან იწყება, სწავლის პირველი წელი ე.წ. preschool-ად ითვლება. ასეთ კლასებში არ დგას მერხები და არაა სასკოლო პროგრამა. რომლებიც აბსოლიტურად გამიჯნულია დაწყებითი სკოლის სწავლების მეთოდოლოგიისგან.

ალბათ გასათვალისწინებელია, რომ ფინეთში, ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემის მქონედაა აღიარებული, სკოლაში სწავლა 7 წლის ასაკიდან იწყება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთაშორისო გამოკვლევებით ფინელი მოზარდები მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანთა რეიტინგებში ლიდერობენ. 15 წლის მოსწავლეებში მათ უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს 57 ქვეყნის მონაწილეთა შორის. ფინეთი პირველობას არავის უთმობს პროგრამების საერთაშორისო შეფასებისას, როცა მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევები კომბინირებულად ფასდება.

ფინელი მოსწავლეების აკადემიურმა წარმატებამ მრავალი ქვეყნის მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ისინი ყოველწლიურად აკვირდებიან და იკვლევენ, თუ როგორ მოახერხა სახელმწიფომ ჰქონდეს ასეთი განათლების სისტემა, ჰყავდეს ამდენი მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და სისტემატიურად ზრუნავდეს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

სკანდინავიის სამივე ქვეყანაში მოსწავლეები სკოლაში 7 წლის ასაკიდან შედიან, მაგრამ, სანამ სკოლაში შევლენ, ყველა მოსწავლე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 2-წლიან წინა სასწავლო პროგრამას გადის. ნახატებზე ფოკუსირებული აკადემიური პროგრამისგან განსხვავებით, ეს ადრეული საბავშვო პროგრამები თვით რეფლექსიებსა და სოციალურ ქცევებზეა ორიენტირებული. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ფინელი ბავშვების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თვისება მათი პიროვნული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხია. ადრეული ასაკიდან თვით რეფლექსიაზე ფოკუსირება განიხილება როგორც სწავლის პროცესში პასუხისმგებლობის განვითარების ამოსავალი კომპონენტი.

მშობლების მოტივაცია 5 წლის ბავშვის სკოლაში მიყვანასთან დაკავშირებით სხვადასხვაა. გამოხატული მოსაზრება, რომ ბავშვი ინტელექტუალურად მზადაა სკოლისათვის, თუმცა ამის გარდა ფიქსირდება არაერთი სოციალური ფაქტორების გავლენაც: საბავშვო ბაღის მოუწესრიგებელი სისტემა, მასწავლებლის დაყოფა „კარგ“ და „ცუდ მასწავლებლებად“, მშობლების მოუცლელობა, სხვის ქცევაზე მიბაძვა, კანონის არსებობის გავლენა.

მშობლების ინფორმირებულობის დონე ბავშვების აღზრდის საკითხებთან მიმართებაში დაბალია და მხოლოდ 5 წლის ბავშვების თავისებურების ცოდნას არ გულისხმობს. თუკი 5 წლის ბავშვების სკოლაში მიღება არასავალდებულო ფორმით დარჩება, მშობლების უმრავლესობა ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას სკოლაში

შეყვანასთან დაკავშირებით, ისევე როგორც ვერ გაუმკლავდება სწავლების პროცესში წარმოშობილ პრობლემებს.

ბავშვების სკოლისათვის მზაობას ფსიქოლოგები, პედიატრები და სხვა ექსპერტები მშობლებისაგან განსხვავებულად განსაზღვრავენ ფსიქოლოგები ბავშვის სკოლისათვის მზაობაში აქცენტს აკეთებენ სოციალურ, ფსიქო-ემოციურ მზაობაზე, ინტელექტუალურ მზაობაზე, ასევე ითვალისწინებენ ბავშვის აკადემიური უნარ-ჩვევების, ფსიქიკურ უნარ-ჩვევების მოტორიკის განვითარების დონეს. აღნიშნული მაჩვენებლებით ძირითადად 5 წლის ბავშვები ჩამორჩებიან 6 წლის ბავშვებს. ექსპერტების ნაწილი მხარს უჭერს ბავშვების სკოლისათვის მზაობის ინდივიდუალურ შეფასებას. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, 4-5 წლის ბავშვებს ვასწავლოთ შესაბამისი მეთოდების გათვალისწინებით.

ბავშვის სკოლისათვის მზაობა მნიშვნელოვანი მექანიზმია სკოლაში სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის.

კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვას მოჰყვა ბევრი პრობლემა, რომელთაგან ნაწილმა უკვე იჩინა თავი და ნაწილი დროთა განმავლობაში გამოვლინდება. 5 წლის ბავშვის პრობლემა უკავშირდება არა იმას, რომ ამ ასაკის ბავშვს არ შეიძლება ვასწავლოთ, არამედ მათ უნდა ვასწავლოთ განსხვავებული მიდგომებით, რომელიც არაერთ ქვეყანაშია დანერგილი, თუმცა ამ ეტაპზე უცხოა ქართულ საგანმანათლებლო სივრცისთვის და საჭიროებს ძალიან დიდ ფინანასური - და ადამიანური რესურსის მობილიზებას, ამიტომ არა რეკომენდირებულია 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა.

ამრიგად 2018 წელს საქართველოს კანონმდებლობით დადგინდა, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს საბავშვო ბაგა-ბაღების მეთოდისტების, აღმზრდელ-პედაგოგებისა და მუსიკის მასწავლებლის გადამზადება. ტრენინგს, რომელსაც გაივლის აღმზრდელი, ის მიიღებს სტატუსს საბავშვო ბაღის აღმზრდელისას, ხოლო ვინც ვერ

გაივლის ტრენინგს ეძლევა საშუალება კვლავ გაიაროს ტრენინგი, მაგრამ მანამდე შეუძლია იმუშაოს საბავშვო ბაღში. ბავშვისა და ბაღში ჩართულობისთვის აუცილებელია მშობლის ჩრთულობა. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ბავშვის სკოლაში მიყვანის ასაკი განსაზღვრულია. თუ ბავშვს არა აქვს გავლილი საბავშო ბაღის კურსები, მას ექმნება სწავლაში პრობლემა. კვლევებმა აჩვენა, რომ 5 წლის ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვა მიუღებელია. ბავშვმა ამ ასაკში თამაშით უნდა მოემზადოს სკოლისათვის. საქართველოში, 2017 წლიდან, საბავშვო ბაღებში გაიხსნა სასკოლო მზაობის ჯგუფები, სადაც ხუთი წლის ასაკის ბავშვის ჩარიცხვა არის შესაძლებელი.

§. 6 სასკოლო ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარება

სასკოლო ასაკის ბავშვის ემოციები ატარებს მძაფრ, მკვეთრად გამოხატულ, მაგრამ არამდგრად ხასიათს, რაც გამოიხატება ერთი ემოციური მდგომარეობიდან, მეორეში სწრაფ გადასვლაში. იოლია ბავშვის გაბრაზება, შეშინება, მაგრამ ასევე, იოლია ინტერესების, კმაყოფილების, სიხარულის გამოწვევა. მათ ადვილად გადაედებათ სხვა ბავშვების ან უფროსების მიერ განცდილი ემოციები.

5 წლის ასაკში ადგილი აქვს ე.წ. **შემეცნებითი ემოციების** განვითარებას, რომელსაც მიეკუთვნება- გაკვირვება, გაოცება, ცნობისმოყვარეობა. ბავშვებისათვის ახალ, უცნობ რეალობასთან შეხვედრისას აღმოცენებული ეს ემოციები, თავის მხრივ, სტიმულს აძლევენ შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარებას, აყალიბებენ ბავშვის ინდივიდუალურ დამოკიდებულებას რეალური სამყაროს მოვლენებისა და ობიექტების მიმართ, ხელს უწყობენ ბავშვებში შემოქმედებითობის განვითარებას.

ამ ასაკში ადგილი აქვს ემპათიის განვითარებას (**ბერძ.-თანაგრძნობა**) გამოყოფენ ორი სახის ემპათიას **ჰუმანურს და ეგოცენტრულს. ჰუმანური ემპათიის** დროს ხდება სხვა ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე რეაგირება (თანაგრძნობა, შეცდომა, გახარება). **ეგოცენტრული ემპათიის** დროს სხვა ადამიანის წუხილი ან სიხარული არის მხოლოდ მიზეზი ისეთი ემოციების აღმოცენებისა, როგორიცაა მოწყენილობა, შიში, სიხარული, როცა სხვა შეწუხებულია; დარდი როცა სხვა გახარებულია (შური). **თვით პატივისცემისა და სიამაყის გრძნობა** 5-6 წლის ასაკში ჩნდება ბავშვის პიროვნების მახასიათებელი ზოგ ბავშვთან ეს გრძნობები ძლიერად არის განვითარებული. ისინი არ უშვებენ მოზრდილებისა და თანატოლების მხრიდან დამცირებას, ბავშვების ნაწილთან თვით პატივისცემისა და სიამაყის გრძნობა შედარებით სუსტადაა განვითარებული. ისინი სხვების დაქვემდებარებაში არიან, არ ცდილობენ დაიცვან საკუთარი თავი, სიამაყისა და თვით პატივისცემის გრძნობა, ბავშვის თვითშეფასების ემოციური კომპონენტებია, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ქცევას რაიმეს საქმიანობაში. წარმატების შემთხვევაში ბავშვთან აღმოცენდება დადებითი ემოციები, წარუმატებლობის შემთხვევაში ნეგატიური განცდების შემთხვევაში შეიძლება დიდი ხნით დარჩეს ბავშვის მეხსიერებაში. ამის, გამო, ის აღარ არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში, ეშინია ახალი დავალების ამ ასკში ყველაზე მძაფრი ემოციებია - შიში და შფოთვა. **შიშს ყოველთვის იწვევს რაიმე გამაღიზიანებელი** 5-6 წლის ასაკის ბავშვს ეშინია წარმოსახვითი და აბსტრაქტული საგნის ან მოვლენის (ურჩხული, დევი, სიბნელე...). **შფოთვას კი არ გააჩნია კონკრეტული მიზეზი,** მისი წყარო უფრო გენერალიზირებულია. შფოთვის შემთხვევაში ბავშებს ეშინიათ, მაგრამ არ იციან რისი. შფოთავს შეიძლება ნებისმიერი მიზეზი ჰქონდეს ისეთიც კი, რაც, ერთი შეხედვით, ძნელი მისახვედრია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შიში და შფოთვა ზომიერია, მაშინ ის ხელს უწყობს სწავლას. აგრესიული ქცევა უნდა განვასხვავოთ საკუთარი თავისა და პოზიციის დაცვის ქცევისაგან. ფსიქოლოგები აგრესიას განმარტავენ, როგორც ქცევას, რომელიც განპირობებულია სხვისთვის ზიანის მიყენების ან მასზე ძალაუფლების მოპოვების განზრახვით.

აგრესიული ქცევა შეიძლება იყოს ვერბალურიც და ფიზიკურიც. უფროს სკოლამდელ ასაკში აგრესიულობა იზრდება (განსაკუთრებით ბიჭებთან), ხოლო 5-6 წლისთვის იწყებს კლებას, რადგან ბავშვები ამ ასაკში ნაკლებად ეგოცენტრულები არიან, სწავლობენ საკუთარი ემოციების მართვას და კონფლიქტების გადაწყვეტას. არააგრესიული გზით (ვერბალურად) ბავშვების მიერ აგრესიის გამოვლენის შეთხვევაში მისი დასჯა არ არის გამოსავალი. მართალია, იგი აღარ მოიქცევა აგრესიულად იმ უფროსის თანდასწრებით, ვინც დასაჯა, აგრესია გამოვლინდება სხვა მიმართულებით. განსაკუთრებით უარყოფითი შედეგი შეიძლება მოგვცეს ფიზიკურმა დასჯამ, რადგან ამ დროს უფროსი თვითონ აძლევს მაგალითს ბავშვს, როგორ გადაჭრას მის წინაშე მდგარი პრობლემა. აგრესიული გზით ბავშვს უნდა ვასწავლოთ პრობლემის მოგვარების არააგრესიული ხერხები.

პრო სოციალური ქცევა. ფსიქოლოგების განმარტებით, პრო სოციალური ქცევის მიზანია სხვა ადამიანის უანგარო დახმარება. ესაა: თანაგრძნობა და დახმარება, თანადგომა, თანამშრომლობა, გადარჩენა და დაცვა. პრო სოციალური ქცევის ფორმირებაზე გავლენას ახდენს უფროსების ქცევა. თუ უფროსები ავლენენ თანადგომასა და თანამშრომლობას, ბავშვები ბაძავენ მათ და ითვისებენ საზოგადოებაში მიღებულ პრო სოციალური ქცევის ფორმებს. აღნიშნული ქცევის ფორმირებაზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, სხვადასხვა როლის შესრულება (დედის, მასწავლებლის, ექიმის და ა.შ.) და დეზუქცია (ახსნა იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ბავშვი).

მოტივაციური სფეროს განვითარება. მოტივი- ეს არის პიროვნების შინაგანი მიდრეკილება, ამა თუ იმ აქტივობის განსახორციელებლად, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან.

თუ ადრეულ ასაკში ბავშვის ყველა სურვილი ერთნაირი ძალისაა და ინტენსივობის იყო, 5 წლის ბავშვს უკვე შეუძლია მოტივების მართვა, მისი მოტივები იძენს სხვადასხვა ძალას და ინტენსივობას. ჩნდება დომინანტური ინტერესები: ზოგ ბავშვთან ეს არის პრესტიჟის (ეგოისტური) მოთხოვნილება(საკუთარი ინტერესების, სურვილების

მოთხოვნილებების დაკმაყოფილება). ზოგთან ალტრუისტული და ზოგთან წარმატების მიღწევის მოთხოვნილება. ამასთან იცვლება ბავშვის მოთხოვნილებები უფროსთან. ისინი უფროსებისაგან ითხოვენ არა მხოლოდ ყურადღებას და სიყვარულის, არამედ გაგებას, თანადგომას და პატივისცემას.

5-6 წლის ასაკში მეტად მნიშვნელოვანი მაინც საკუთრი „მე"-ს ინტერესებია.

5-6 წლის ბავშვისთვის დამახასიათებელია სწავლის შემდეგი მოტივები:

გარეგანი მოტივი - უფროსები ბავშვს ავალდებულებენ სკოლაში წასვლას. ამ მოტივის დომინირების შემთხვევაში ბავშვი სწავლობს მხოლოდ მაშინ, როცა მას აიძულებენ.

სწავლის მოტივი - ამ შემთხვევაში ბავშვი ორიენტირებულია ახალი ცოდნის, უნარის შეძენაზე. ბავშვი სწავლობს მხოლოდ მაშინ, როცა სასწავლო მასალა მისთვის საინტერესოა.

ალტრუიზმი არის პიროვნების ღირებულებათა სისტემა, როდესაც ცენტრალური მოტივი სხვა ადამიანზე ან სოციალურ ჯგუფზე ზრუნვაა.

შეფასება - ბავშვის მიზანია მიიღოს მაღალი შეფასება - ნიშანი. ამ მოტივის დომინირების შემთხვევაში ბავშვი კარგად სწავლობს მაშინ, როცა მას აქებენ, აფასებენ.

5 წლის ბავშვის სწავლისას წამყვანია :

- **თამაშის მოტივი;**
- **პოზიციური მოტივი;**
- **შეფასების მოტივი;**

მორალური განვითარება

5 წლის ასაკის ბავშვი **ჯ. პიაჟეს მიხედვით, იმყოფება მორალური რეალიზმის სტადიაზე.** ამ ასაკის ბავშვი ქცევის შეფასებისას ეყრდნობა შედეგს და ვერ ითვალისწინებს ქცევის განზრახვას.

ლ. კოლბერგის თანახმად, 5 წლის ასაკის ბავშვის ქცევა რეგულირდება დასჯა-წახალისების პრინციპის საფუძველზე. ბავშვი თვლის, რომ წესებს უნდა დაემორჩილოს იმიტომ, რომ თავიდან აიცილოს დასჯა, ან მიიღოს სარგებელი. თუ ბავშვის საქციელს დადებითი შეფასება მოჰყვება, ესე იგი, კარგია, ხოლო თუ ქცევის გამო დაისჯება - ცუდი.

მე კონცეფცია - ეს არის ზოგადი წარმოდგენა საკუთარ თავზე. თვით შეფასება არის თვით შემეცნების კომპონენტი, რომელიც მოიცავს საკუთრი ფიზიკური, პიროვნული, ინტელექტუალური მახასიათებლების მორალური თვისებებისა და ქცევის შეფასებას.

თვით შეფასება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის სოციალურ ადაპტაციას. ამ ასაკის ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებულ კეთილ განწყობას და მხარდაჭერას უფროსების მხრიდან, რათა ეჭვი არ შეეპაროთ მათ ძალებსა და შესაძლებლობებში.

ბავშვი საკუთარ თავს აფასებს ისე, როგორც მას აფასებენ სხვები - ოჯახის წევრები, მასწავლებლები, თანატოლები. ხშირად ბავშვის თვით შეფასება სხვების ანარეკლია. 5 წლის ასაკის ბავშვი იწყებს იმის გაცნობიერებას რომ ის განსხვავდება სხვა ბავშვებისაგან. რისთვისაც იყენებს **„სოციალურ შედარებას“**. ბავშვს უნდა მიეთითოს კონკრეტულ ქცევაზე, რომელიც მიუღებელია და არ უნდა შევეხოთ ბავშვის პიროვნებას. უნდა ვუთხრათ, რომ მისი ქცევა არასწორია და არ ვუწოდოთ „ცუდი ბიჭი (გოგო)“.

იმის მიხედვით თუ როგორი თვით შეფასება აქვს ბავშვს, მან შეიძლება სტიმულირება გაუკეთოს, ან პირიქით, დათრგუნოს ბავშვის აქტივობა. 5 წლის ასაკის ბავშვისთვის, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია მაღალი თვითშეფასება, ამიტომ უჭირთ მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების მიღება, სასწავლო აქტივობის შეფასებისას მასწავლებლის შეფასება უნდა იყოს კონკრეტული, ნათელი და უნდა ეხებოდეს აწმყო დროში განხორციელებულ აქტივობას.

ძალიან მნიშვნელოვანია ადეკვატური თვით შეფასების ჩამოყალიბება ვინაიდან თვით შეფასება გავლენას ახდენს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, სწავლაზე, სოციალურ ურთიერთობაზე.

ამრიგად, ემოციების მართვა არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ აღმზრდელებსაც სჭირდებათ. სასკოლო ასაკის ბავშვებს უვითარდება ემპათიის გრძნობა, რომელიც სხვადასხვა სახით ვლინდება. არსებობს ქცევის სახეები, ქცევა შეიძლება იყოს ვერბალური და ფიზიკურიც. ქცევას ხანდახან დასჯაც მოსდევს, დასჯის თავიდან ასაცილებლად, ხშირად ბავშვები ცდილობენ ქცევა გამოასწორონ და დასჯა თავიდან აიცილონ. პიაჟეს აზრით, ამ ასაკში ბავშვი ეყრდნობა მორალურ განვითარებას, ის შედეგს ვერ ითვალისწინებს, ხოლო კოლბერგი ამ პერიოდში დასჯა-წახალისების პრინციპით მოქმედებს. სასურველია ბავშვი დადებითად შევაფასოთ, რადგანაც საკუთარ თავს ისე აფასებს, როგორც მას უფროსები აფასებენ.

§.7 კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების განვითარება

5-6 წლის ასაკის ბავშვის აღქმა თანდათანობით უფრო სრულყოფილი ხდება. განსაკუთრებულ გავლენას აღქმაზე მეტყველების განვითარება ახდენს. ბავშვს ახლა უკვე შეუძლია საგნებსა და ობიექტებს დაარქვას სახელები, სიტყვიერად გამოყოს მათი თვისებები, მახასიათებლები, შეაფასოს მოვლენების მიმდინარეობა, კავშირი მათ შორის და ა.შ. აღქმას უფრო დანაწევრებულსა და ორგანიზებულს ხდის.

5-6 წლის ასაკის ბავშვის აღქმა მაინც დანაწევრებული და არასაკმარისია, ამიტომ ამ ასაკის ბავშვები ხანდახან ურევენ მსგავსი მოხაზულობის ასოებსა და ციფრებს. (6-9; შ-წ)

ჩნდება სინთეზური აღქმა. აღქმული ობიექტის ელემენტებს შორის კავშირის დამყარება. თუ მანამდე ნახატის აღწერისას ბავშვი ასახელებდა ნახატზე გამოსახულ ობიექტებს, ახლა მას შეუძლია ნახატის აღწერა, შემდგომში კი შეძლებს მის ინტერპრეტაციას.

სწავლების შედეგად აღქმა ხდება ანალიზური, ის იძენს ორგანიზებული, დაკვირვების ხასიათს. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ბავშვს ობიექტის არსებითი ნიშნების , საგნებისა და მოვლენების თვისებების გამოვლენა. აღქმის განვითარების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი არის შედარება.

ბავშვის აღქმისთვის ასევე დამახასიათებელია ემოციურობა. მასზე გაცილებით დიდ გავლენას ახდენს მასწავლებლის ემოციური შექება, შეფასება, ვიდრე ნეიტრალური ტონით ნათქვამი „საქებარი“ სიტყვები.

აღქმის შემდეგი თავისებურებაა - აღქმის კავშირი მოქმედებასთან. ვითარდება აღქმის „სოციალიზაცია“ 5 წლის ასაკის ბავში უპირატესობას ანიჭებს ადამიანებისგან წამოსულ სიგნალებს.

ბავშვის აღქმის განვითარება შესაძლებელია ისეთი აქტივობებით, როგორიცაა: ხატვა, სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა; ძერწვა, ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა; გამოცანების გამოცნობა და ა.შ. ამ აქტიობების განხორციელებისას ბავშვი საკუთარი თვალით ეჩვევა ობიექტურ თვისებებს. შესაბამისად, აღქმა უფრო დანაწევრებული და ორგანიზებული ხდება.

5 წლის ასაკის ბავშვისთვის ტიპიურია უშუალო ინტერესით, ემოციით წარმართული ყურადღება. ყურადღება, როგორც საზოგადოდ ბავშვის ქცევა, ამ ასაკში იმპულსურია. თუმცა 5 წლის ასაკში იწყება ნებისმიერი ყურადღების განვითარებაც. იზრდება ყურადღების სიმტკიცე, თუ აქამდე ბავშვს შეეძლო აქტიური ყურადღების შეჩერება 8-10 წუთის განმავლობაში, 5 წლისთვის ეს დრო 15-20 წუთი ხდება.

ყურადღების მოცულობა 2-3 ერთეულს შეადგენს. უნებლიე ყურადღების გადაუხრელობა ორჯერ მეტია, ვიდრე 4 წლის ასაკში **მეხსიერება.** 5 წლის ასაკის ბავშვების მეხსიერება თვალსაჩინო-ხატოვანია, ისინი უკეთ იმახსოვრებენ კონკრეტულ ფაქტებს, მოვლენებს, პირებს, ვიდრე განმარტებას, აღწერას, ახსნას. მათ მეტად ახასიათბთ მექანიკური დამახსოვრება, არ აცნობიერებენ აზრობრივ კავშირებს დამახსოვრებულ მასალაში. ამიტომ, სასწავლო მასალის უკეთ დასამახსოვრებლად გამოყენებული უნდა იქნას დიდი რაოდენობით თვალსაჩინო მასალა.

ბავშვებს უნდა ვასწავლოთ- გამეორების დროში განაწილება, გამეორების მრავალფეროვნება, ხმამაღლა, ჩურჩულით, მხოლოდ ტუჩების მოძრაობითა და ასევე შინაგან ჭრილში (გონებაში) გარეგანი გამოვლინების გარეშე, ობიექტების დაჯგუფება და აზრობრივი მიმართულების დამყარება.

ჟ. პიაჟეს მიხედვით, 5 წლის ასაკის ბავშვის აზროვნების არსებობითი მახასიათებლებია თვალსაჩინოება, კონკრეტულობა, შეუქცევადობა, ეგოცენტრიზმი და ცენტრირება საგნის ერთ ნიშანზე.

მნიშვნელოვანია თვალსაჩინოების გამოყენება, როცა 5 წლის ბავშვს ვეკითხებით, მაგალითად, რით განსხვავდება ვაშლი მსხლისაგან? ის გაცილებით სწრაფად და ადვილად შეასრულებს ამ ოპერაციას. თუ ხედავს აღნიშნულ ობიექტს და აწყდება სირთულეებს, თუ ეს გონებაში უნდა შეასრულოს. მეორე მაგალითი - კუბებიდან ნახატის აწყობა. მოზრდილი ადამიანი მოგვცემს პასუხს, კუბებიდან მთლიანი ნახატის აწყობის გარეშეც. ბავშვს კი ამის გაკეთება არ შეუძლია. მან ჯერ კუბებიდან ნახატი უნდა ააწყოს და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა პასუხს.

ბავშვის აზროვნებისას ეყრდნობა მის გამოცდილებაში მქონე ცალკეულ კონკრეტულ ფაქტებს. მაგალითად, კითხვაზე - რატომ არ შეიძლება წყლის დალევა? ბავშვი პასუხობს კონკრეტულ ფაქტზე დაყრდნობით: „ერთმა ბავშვმა დალია და ავად გახდა“.

ბავშვებს არ შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ რომელიმე ობიექტი შეიძლება დაუბრუნდეს თავის პირვანდელ მდგომარეებას, რომ ობიექტს შორის არ არსებობს ორმხრივი კავშირი - მაგალითად, ბავშვს ეკითხებიან : - ეკა შენ გყავს და“ ის პასუხობს - „დიახ“. რა ქვია შენს დას“ „ნინო“. „ნინოს ჰყავს და? – „არა“. ამ შემთხვევაში კავშირს აქვს მხოლოდ ერთი მიმართულება: გოგონამ იცის, რომ მას ჰყავს და ნინო, მაგრამ არ ესმის, რომ ის თვითონ არის ნინოს და.

ბავშვს არ შეუძლია დადგეს სხვა ადამიანის პოზიციაზე. მაგალითდ ბავშვს სვამდნენ მაგიდასთან, რომელზეც მოთავსებული იყო მთის მაკეტი და აჩვენებდნენ სხვადასხვა კუთხიდან გადაღებულ მთის მაკეტის ფოტოებს. პირველად ბავშვს სთხოვდნენ, აერჩია ის ფოტო, რომელიც მისი მაგიდიდან ჩანდა, ხოლო შემდეგ, აერჩია ფოტო მთების მაკეტის ისეთი გამოსახულებით, რომელსაც სხვა ადგილას მჯდომი თოჯინა ხედავდა. ბავშვების უმრავლესობას არ უჭირს პირველი ფოტოს მოძებნა, მაგრამ განიცდიდნენ სირთულეებს მეორე ფოტოს არჩევისას.

ჟ. პიაჟე აკეთებს დასკვნას, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, შეხედულება არის ერთადერთი სწორი თვალსაზრისი.

5-6 წლის ბავშვს არ შეუძლია გაითვალისწინოს ერთდროულად საგნის რამდენიმე ნიშანი. მაგალითად როდესაც ბავშვს აჩვენებენ გარკვეული რაოდენობის ხის ბურთებს, რომელთაგან ზოგი შეღებილია ლურჯად, ხოლო ზოგი ყვითლად და ეკითხებიან - „რომელი ბურთია მეტი, ხის თუ ლურჯი?“ ბავშვები არსაწორად პასუხობენ. მათ არ შეუძლიათ ერთდროულად გაითვალისწინონ ბურთების ფერი და უფრო ზოგადი კატეგორია - მასალა, რისგანაც ბურთებია დამზადებული. ამ ასაკის ბავშვი ცენტრირებულია საგნის ერთ ნიშანზე.

5 წლის ასაკის ბავშვებს აქვთ გარკვეული სირთულეები ობიექტების კლასიფიკაციისას. მათ უჭირთ იმის გაგება, რომ კლასიფიკაციის საფუძველი შეიძლება იყოს ობიექტის სხვადასხვა ნიშანი. მაგალითად, ბავშვს შეუძლია დააჯგუფოს თეფშები, ჭიქები, დანა-

ჩანგალი, მათი დანიშნულების მიხედვით. მაგრამ ვერ მოიფიქრებს, რომ თეფშების დაჯგუფება შეიძლება სიდიდის ან ფერის მიხედვით.

მათ ასევე უჭირთ ერთი ცნების გაგება, როგორიცაა თანმიმდევრობა. მაგალითად, თუ ბავშვს ვაჩვენებთ სხვადასხვა სიგრძის 6 ჩხირს, ის გვიპასუხებს, რომელია მათ შორის ყველაზე გრძელი და ყველაზე მოკლე. მაგრამ ვერ შეძლებს მათი სიგრძის მიხედვით დალაგებას, ვინაიდან ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად მან უნდა გაითვალისწინოს ერთდროულად ორი ფაქტორი: ყოველი ჩხირი წინაზე მოკლე უნდა იყოს და მომდევნო ჩხირზე უფრო გრძელი.

ბავშვის მეტყველების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნების განვითარებასთან. ბავშვი მარტივი წინადადებიდან გადადის რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების გამოყენებაზე.

5 წლის ასაკის ბავშვის მეტყველების სემანტიკური მხარე შედარებით ღარიბია. სიტყვების მნიშვნელობას აკლია სიზუსტე - ხან ძალიან შევიწროებულია, ხან ზედმეტად ფართე.

ასევე ბავშვებს უჭირთ მეტყველების, როგორც საგნის, ანალიზი. ბავშვი, რომელიც პრაქტიკულად დაუფლებულია მეტყველების, განცდის სირთულეს სიტყვაში ბგერითი კომპონენტების გამოყოფაში. ამავე დროს უჭირთ მსგავი ჟღერადობის სიტყვების და სიტყვათ შეთანხმების აზრის გაგება. მაგალითად, მასწავლებლის შვილი და შვილის მასწავლებელი.

ამ საკითხისთვის დამახასიათებელია შინაგანი მეტყველების განვითარებაც. შინაგანი მეტყველება ეს არის მეტყველების სახე, რომელიც უზრუნველყოფს აზროვნების პროცესს და ქცევის თვით რეგულაციას.

5 წლის ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელია ფანტაზიის აქტიური ფორმა, როცა ფანტაზიის პროცესი ხდება ნებისმიერი, თავდაპირველად ფანტაზიის აქტიური ფორმის

განვითარებას, ბიძგს აძლევენ უფროსები. ამ ასაკში ფანტაზია ასრულებს ორ ფუნქციას: შემეცნებით ინტელექტუალურს და დაცვითს.

შემეცნებითი, ინტელექტუალური ფუნქცია დაკავშირებულია გარემოზე ახალი ინფორმაციის მიღებასა და პრაქტიკული ჩვევების ფორმირებასთან.

ფანტაზიის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ წარმოსახვით სიტუაციაში შეიძლება მოხდეს დაძაბულობის მოხსნა და კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტა, რომლის რეალურ ცხოვრებაში გადაწყვეტაც ბავშვს ჯერ არ შეუძლია. უნდა აღინიშნოს, რომ ფანტაზია ამ ასაკში აღწევს ისეთ მაღალ დონეს, რომ ბავშვებმა შეიძლება „იცხოვრონ“ მის მიერ გამოგონებულ სამყაროში, ჰყავს წარმოსახვითი მეგობარი.

ფანტაზიის განვითარების მაღლი დონე, როგორც წესი, დამახასიათებელია კარგად განვითარებული ბავშვებისთვის. მეორე მხრივ, ის შეიძლება მიუთითებდეს ბავშვის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამიტომ, სასურველია ყურადღება მივაქციოთ ბავშვის ფანტაზიების შინაარსს.

სასკოლო მზაობისათვის გასათვალისწინებელი მახასიათებლებია:

- ბავშვს უკეთ აქვს განვითარებული მსხვილი და შედარებით სუსტად-ნატიფი მოტორული უნარები, ამიტომაც ჯერ მათ უჭირთ წერა, დანა-ჩანგლის ხმარება.
- 5 წლის ასაკის ბავშვის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომაც ერევათ მათ მსგავსი მოხაზულობის მქონე ასოები და ციფრები ერთმანეთში.
- ბავშვის ყურადღება მეტად უნებლიეა, ის ყურადღებას აქცევს იმ ობიექტსა და მოვლენას, რამაც მასზე შთაბეჭდილება მოახდინა.
- ბავშვს შეუძლია ყურდღების წარმართვა ერთი და იმავე, ობიექტზე 15-20 წუთის განმავლობაში.
- ბავშვის მეხსიერება თვალსაჩინოდ ხატოვანია.
- იწყებს განვითარებას ნებისმიერი მეხსიერება.

- 5 წლის ბავშვი თამაშის სიტუაციაში უფრო იოლად იმახსოვრებს მასალას.
- 5 წლის ასაკის აზროვნებას ახასიათებს: თვალსაჩინოება, კონკრეტულობა, ეგოცენტრიზმი და ცენტრირება, საგნის ერთ ნიშანზე შეუქცევადობა.
- ბავშვს ახასიათებს შინაგანი მეტყველება, მეტყველების სახე, რომელიც უზრუნველყოფს აზროვნების პროცესს და ქცევის თვით რეგულაციას.
- 5 წლის ბავშვის ასაკი განიცდის სირთულეს სიტყვაში ბგერითი კომპონენტის გამოყოფაში.
- 5 წლის ასაკის ბავშვი მარტივი წინადადების გამოყენებიდან გადადის რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადების გამოყენებაზე.

რეკომენდაციები პედაგოგებს სასკოლო მზაობისთვის

- 5 წლიანი სწავლებისას განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ნატიფი მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს.
- 5 წლიანთა სწავლებისას მასწავლებელმა სწავლებისას უნდა განუვითაროს მათ, შესასწავლი ობიექტის დაკვირვებით, გარკვეული თანმიმდევრობით დათვალიერების ჩვევა, აპოვნინოს სხვადასხვა დეტალი და ა.შ.
- მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს ყურდღების ორგანიზებაში რაიმე საქმიანობაში ჩართვით, გარეგანი დამხმარე საშუალებებით არავერბალური მნიშვნელობით, წახალისებით.
- ვინაიდან 5 წლის ასაკის ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმა თამაშია, მას თამაშის პროცესში უფრო იოლად შეუძლია დაიმახსოვროს მისთვის რთული მასალა.

- სხვადასხვა ამოცანა, პრობლემა ხუთ წლიანებმა უნდა გადაჭრან ჯერ მოქმედებით ჭრილში საგანზე მანიპულაციით და შემდეგ თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით.
- დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სიტყვების ფონოლოგიურ ანალიზს.

ამრიგად, სასკოლო მზაობის ჯგუფის ბავშვებს უვითარდებათ ყველა ის ემოციური სფეროები, რომლებიც მის ყოველმხრივ განვითარებას უწყობს ხელს. ესენია აზროვნება, მეტყველება, აღქმა, ფანტაზია, ყურადღება და სხვა. ეს უნარები თავს იჩენს 5 წლის ასაკში, ამ პერიოდში ბავშვს შეუძლია დასახული მიზნის მისაღწევად თამაში გამოიყენოს, მარტივიდან რთულის კომბინაციით დაძლევს სხვადასხვა პრობლემებს. 5 წლის ასაკის ბავშვს ყურადღების დეფიციტი თუ ჰქონდა ახლა შეუძლია 15-20 წუთი გაამახვილოს ერთ კონკრეტულ საგანზე. დიდი როლი აქვს მასწავლებელს და იმ რეკომენდაციებს, რომელიც სასკოლო მზაობის ჯგუფში გამოიყენება.

§ .8 თამაშის როლი სასკოლო მზაობის პროგრამაში

ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ირგვლივ არსებული სამყაროს შემეცნების სურვილი ის ძალაა, რომელიც უბიძგებს ბავშვებს იკვლიონ, გამოსცადონ, მოსინჯონ სიახლეები, მოირგონ სხვადასხვა როლი - კატისა თუ პოლიციელის. ამ პროცესში ისინი იზრდებიან, სწავლობენ და ვითარდებიან. სწორედ ამიტომ თამაში, განსაკუთრებით კი როლური თამაში, წამყვანი საქმიანობაა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის.

თამაში ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის **სოციალური და ემოციური განვითარებისთვის.** თამაში იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვმა გაიაზროს და უსაფრთხოდ გამოხატოს ძლიერი ემოციები. ერთობლივ წარმოსახვით თამაშს შეუძლია ბავშვებს შორის განსაკუთრებულად ძლიერი კავშირის დამყარებას შეუწყოს ხელი.

ბავშვები ხშირად გაითამაშებენ იმგვარ სიტუაციებს, რომლებმაც მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შეიძლება იყოს "ექიმობანა" ექიმთან ვიზიტის შემდეგ ან „ცირკობანა", საცირკო წარმოდგენაზე დასწრების შემდეგ. ყველაზე ხშირად ბავშვები თამაშობენ „სახლობანას", რომლის დროს გადმოსცემენ ახლობლებთან ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან გამოცდილებას და ამასთანავე ასახიერებენ უფრო „ძლიერი" ზრდასრულის როლს. „სახლობანა" ხშირია იმიტომაც, რომ მისი თემა ყველაზე კარგადაა ნაცნობი ბავშვებისთვის, მათი გამოცდილებიდან და ურთიერთობებიდან გამომდინარე, და, შესაბამისად, მრავალფეროვან საშუალებებს იძლევა თამაშისათვის.

თამაშის დროს ბავშვებს ბუნებრივად უვითარდებათ **მსხვილი და წვრილი მოტორიკა.** სირბილის, გაძრომის, ხტუნვის დროს მაგრდება მათი მსხვილი კუნთები. ჩაიდნიდან წყლის ჭიქებში ჩამოსხმისას, კუბურებით ქალაქის ან ცხოველების სახლების შენებისა და ვითომ წერის დროს კი ვითარდება ნატიფი მოტორიკა და კოორდინაცია.

თამაში ხელს უწყობს ბავშვის **კოგნიტურ განვითარებას.** მაგალითად, „მაღაზიობანას" თამაშის დროს ბავშვები წონიან, ზომავენ, ანგარიშობენ, ახარისხებენ სხვადასხვა საგანს ან „პროდუქტს"; „ფოსტალიონობის" ან „ექიმობანას" თამაშის დროს კი გამოცდიან თავიანთ წარმოდგენებს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, ავარჯიშებენ მეხსიერებას, სააზროვნო და პრობლემის გადაჭრის უნარებს.

თამაში ავითარებს **მეტყველებისა და კომუნიკაციის** უნარებს. როლური თამაშის დასაწყებად ბავშვები ერთმანეთს უყვებიან სიუჟეტს და ინაწილებენ როლებს. თამაშის დროს ბავშვები ნელ-ნელა სწავლობენ უფრო დახვეწილი და რთული სიტყვებისა თუ ფრაზების გამოყენებას, რომლებიც ყოველდღიურ მეტყველებაში ნაკლებად გამოიყენება. ვითომ ექიმი სინჯავს „ავადმყოფს", უკეთებს „ნემსს", წერს „დანიშნულებას", „ექთანი" ზომავს სიცხეს „თერმომეტრით", „პაციენტი" ითხოვს „ექიმთან" ვიზიტისთვის ჩაწერას, „მიმღები" კი მას უსახელებს შესაძლო დღეებსა და საათებს.

გარდა იმ განსაკუთებული მნიშვნელობისა, რომელიც აკისრია თამაშს ბავშვის განვითარების პროცესში, მას აქვს თავისთავადი ღირებულებაც - ესაა სასიამოვნო პროცესი, რომელიც თავისუფლებისა და სიხარულის განცდას ანიჭებს ბავშვს.

ბავშვობისას თამაშში გატარებული დრო გონივრულად დახარჯული დროა.

ბავშვებს მოსწონთ წარმოსახვითი როლური თამაში რომელიც ხასიათდება ინტერაქტიული და თავისუფალი მოქმედებით, რომელშიც ბავშვი გარდაისახება სხვა ვინმედ ან რამედ. ბავშვი ბაძავს სხვას ქცევით თუ საუბრით და ამისათვის იყენებს ნამდვილ და წარმოსახვით ნივთებს. როლურ თამაშს არ აქვს ლოგიკური დასასრული, სიუჟეტი ვითარდება სპონტანურად, მასში მონაწილე ბავშვების ინტერესებისა და სურვილების შესაბამისად.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ჩავატარეთ დაკვირვება აღვწერთ ერთ-ერთ სიტუაციას.

ორი გოგონა თამაშობს „ბაღობანას“. ისინი ჩაამწკრივებენ თოჯინებს წრეზე და ვითომ-ვითომ უკითხავენ მათ ზღაპრებს. ერთ-ერთი გოგონა მეორეს შესთავაზებს „ბავშვების“ ექსკურსიაზე წაყვანას. გოგონები აჩერებენ წარმოსახვით ავტობუსს, რომლის მაგივრობასაც იქვე მდგარი დიდი კარადა ასრულებს, სხდებიან და მიდიან „მდინარეზე“, აცურავებენ თოჯინებს წყლიან დიდ ჭურჭელში, შემდეგ აშრობენ თოჯინებს და უცვლიან მათ ტანსაცმელს. ამგვარად, „ბაღო-ბანას“ თამაში ნელ-ნელა გადაიზარდა „მოგზაურობანაში“. ბავშვებმა პრაქტიკაში გამოცადეს ის ცოდნა, რომელიც ჰქონდათ საბავშვო ბაღების, ექსკურსიებისა და მდინარეების შესახებ. იმავდროულად ბავშვები ემორჩილებოდნენ თავიანთ მოგონილ წესებს, რომლებიც თამაშის მიმდინარეობისას იცვლებოდა: ბავშვები საუბრობდნენ, ერთმანეთს სთავაზობდნენ ახალ-ახალ სიუჟეტებს და შეთანხმებულად, ურთიერთდათმობისა და ერთმანეთის სურვილების გათვალისწინების გზით, აგრძელებდნენ თამაშს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. წარმოსახვითი როლური თამაშის დროს ბავშვები გამოავლენენ და განივითარებენ საკმაოდ რთულ სოციალურ უნარებს.

ყველაზე ადრეულ ასაკში წარმოსახვითი თამაში ვლინდება მაშინ, როცა ბავშვი ვითომ-ვითომ სვამს წყალს ჭიქიდან, ან ვითომ-ვითომ ლაპარაკობს ტელეფონზე. მომდევნო ეტაპზე ის ასეირნებს თავის თოჯინას და ესაუბრება მას. შემდგომში თამაშში შემოდიან სხვა თანატოლებიც და თამაშის სიუჟეტიც თანდათან რთულდება.

როლური თამაშის ერთ-ერთ ფორმასთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც ბავშვები თამაშობენ პატარა ზომის ადამიანებისა თუ ცხოველების ფიგურებით. ამ შემთხვევაში ისინი ამ თოჯინებს აცოცხლებენ, ამოძრავებენ და უყვებიან ერთმანეთს თავიანთ წარმოსახულ ისტორიებს.

მნიშვნელოვანია აღმზრდელის როლი როლური თამაშის დროს, ისინი ყურადღებით აკვირდებიან და ხელს უწყობენ ბავშვებს თამაშის დროს; უზრუნველყოფენ, რომ თამაში იყოს პოზიტიური, არადისკრიმინაციული და შედეგიანი, საჭიროების შემთხვევაში კი ეხმარებიან ბავშვებს თამაშისთვის აუცილებელი სხვადასხვა უნარის განვითარებაში. ამ მიზნით აღმზრდელები სვამენ კითხვებს, ეხმარებიან ბავშვებს ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარებაში და სთავაზობენ ახალ იდეებს.

როლური თამაშის წახალისებისთვის მნიშვნელოვანია გარემოს სათანადოდ მოწყობა და ნივთებით მომარაგება. თემის შესაბამისად, მთელი ჯგუფის ან როლური თამაშების ცენტრის სივრცემ შეიძლება სახე იცვალოს და იქ ხან ექიმის კაბინეტი მოეწყოს, ხან სუპერმარკეტი, ხან კი - კაფე. ჯგუფის მოწყობასა და რეკვიზიტების დამზადებაში სასურველია ბავშვებიც ჩაერთონ.

სივრცეების ერთმანეთისგან გამოსაყოფად მათ გამოიყენეს ქსოვილები და დიდი ყუთები. ამ გზით აღმზრდელებმა დრამატული თამაში მიმდინარე თემას - „ფრენას“ დაუკავშირეს. ბავშვები დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში თამაშობდნენ ამ სივრცეში, ცვლიდნენ როლებსა და სიუჟეტებს.

მთავარი თემის გაცნობის გარდა, ასეთი თამაში საშუალებას აძლევს აღმზრდელებს, ხელი შეუწყონ ბავშვებში სხვადასხვა უნარის განვითარებას. ეს უნარებია, კერძოდ: რაოდენობრივი წარმოდგენები - ბილეთების ყიდვის, სამგზავრო ჩანთების აწონვის,

გაზომვისა და შედარების დროს; ნატიფი მოტორიკა - პასპორტების დამზადებისა და შემოწმებისთვის ვითომ-ვითომ წერის დროს; სააზროვნო უნარები - ბილეთების შესაბამისი ადგილების სალონში მოძებნის დროს. ბავშვებს ასევე ესმით ახალი სიტყვები თუ გამონათქვამები და სწავლობენ მათ მნიშვნელობას.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი: როდესაც თამაში ვეღარ ვითარდება ან ჩიხში შედის, საჭიროა, რომ თავად აღმზრდელი ჩაერთოს თამაშში და შესთავაზოს ბავშვებს ახალი იდეები. მაგ.: ბავშვები თამაშობენ „სახლობანას“, ვარცხნიან თოჯინებს და უცვლიან მათ ტანსაცმელს, მაგრამ ნელ-ნელა თამაში ბეზრდებათ, ყურადღება ეფანტებათ და ახალ სიუჟეტსაც ვეღარ იგონებენ. ამ დროს შეიძლება ფრთხილად, რაიმე როლის მოსინჯვით ჩაერთოს აღმზრდელი. როდესაც ბავშვები კვლავ აქტიურად ჩაერთვებიან თამაშში, აღმზრდელი ნელ-ნელა გამოდის თამაშიდან.

ინსცენირებისგან განსხვავებით, როლური თამაშის დროს ბავშვები დამოუკიდებლად ავითარებენ ამბავს და, სურვილისამებრ, შეუძლიათ მისი შეცვლა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია თამაშობდნენ რომელიმე კონკრეტულ ზღაპარს, მაგალითად, “მართასა და სამ დათვს“. ისინი თავისუფალნი არიან მოქმედებაში: მართა შეიძლება დათვების მეგობრად მოგვევლინოს ან მათთან ერთად წავიდეს წითელქუდას მოსანახულებლად.

5 წლის ასაკში ბავშვები უკვე თამაშობენ **წესებიან თამაშებს.** ხანდახან თავად იგონებენ წესებს, ხან კი სხვების მიერ განსაზღვრულ წესებს ემორჩილებიან. ისინი ცდილობენ თამაშის ორგანიზებასა და მისი წესების დაცვას, იქნება ეს რიგითობა, მოლაპარაკება თუ დათმობა. ბავშვები სხვებისგან მოითხოვენ წესების განუხრელად დაცვას და აპროტესტებენ, როდესაც ვინმე არღვევს წესს. ისინი იწყებენ სამართლიანობის ცნების გააზრებას და განასხვავებენ მისაღებ და მიუღებელ სოციალურ ქცევას.

ზოგიერთ თამაშს ისეთი წესები აქვს, რომელთა დაცვის გარეშე თამაშის პროცესი ვერ წარიმათება. ასეთი თამაშებია „გემობანა”, მეხსიერების თამაშები: „მემო“, ლოტო, დომინო და სხვა, ეზოს თამაშები: „დაჭერობანა”, „დამალობანა”, „ხეზე ჩიტი”, „მატარებლობანა”,

„კატათაგვობანა", „წრეში ბურთი", „კლასობანა", „რეზინობანა", „შვიდი ქვა" და ა.შ. ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს ძალიან მოსწონთ ეს თამაშები.

თამაშის პროცესში ბავშვებს უწევთ წესებისა და მათი თანამიმდევრობის დაცვა, თანამშრომლობა და გარკვეული სტრატეგიების გამოყენება. თამაშები იძლევა საშუალებას, რომ ბავშვებმა სახალისო და სასიამოვნო გზით გაივარჯიშონ უნარები და მიიღონ ცოდნა სხვადასხვა სფეროში. თამაშის დროს იმის გარკვევა, თუ ვის უფრო მეტი ბარათი აქვს ან ბარათების დარიგება წყვილებისთვის ავითარებს სხვადასხვა მათემატიკურ უნარს. თამაშის დროს ვითარდება ასევე სოციალური უნარებიც: რიგის დაცვა, მომდევნო მოთამაშის გამოცნობა, ახალი მონაწილეებისთვის თამაშის წესების გაცნობა, ჯგუფის წევრების წახალისება თუ მხარდაჭერა და სხვ. აქტიურად უწყობს ხელს ამ უნარების განვითარებას.

წესებიან თამაშებში ყოველთვის არის მოგებული და დამარცხებული, რასაც ზოგიერთი ბავშვი მძაფრად განიცდის. მეორე მხრივ, ეს კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვებმა ისწავლონ ემოციების მართვა და წესების დაცვა. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა ყურადღება გადაიტანონ თამაშისგან სიამოვნების მიღებაზე და არა ბავშვების ერთმანეთთან შეჯიბრებაზე. შეჯიბრებითობის ელემენტი შეიძლება შემცირდეს, თუკი თამაში იქამდე გაგრძელდება, სანამ ყველა არ „მოიგებს". ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს „პირველი გამარჯვებული", „მეორე გამარჯვებული" და ა.შ. შეჯიბრებითობაზე აქცენტის შესუსტება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუკი არ იქნება გამოკვეთილად ნახსენები გამარჯვება ან წაგება. აღმზრდელები ამ შემთხვევაში, უბრალოდ, ამთავრებენ და იწყებენ ახალ თამაშს; ან თამაშის დასასრულს ითვლიან ყველა ბავშვის მიერ მოგროვებული ბარათების საერთო რაოდენობას. შესაძლებელია ბევრი წესებიანი თამაშის მოგონება ან შეცვლა ისე, რომ შეჯიბრებითობის ელემენტი საერთოდ „ამოვარდეს". მაგალითად, წესებიანი თამაში შეიძლება დამთავრდეს მაშინ, როდესაც ყველას გაუთავდება ბარათები ან სხვა მასალა, დასრულდეს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ და ა.შ. ერთი და იმავე თამაშის ბევრჯერ გამეორებით კი ბავშვები ბუნებრივად

იაზრებენ, რომ ადრე თუ გვიან ყველა იმარჯვებს და არავინ არ არის მუდმივად „მოგებული“.

სააღმზრდელო პროცესზე დაკვირვების დროს ცხადი გახდა რომ, აღმზრდელები ყველა ბავშვს რთავენ წესებიან თამაშებში, ზოგისთვის ამარტივებენ მის წესებს ან მოთხოვნებს, ზოგისთვის კი ართულებენ. აღმზრდელები უფრო მეტად ეხმარებიან მათ, ვისაც დახმარება სჭირდება. შერეულ გუნდებში (მაგ., სქესისა და განსხვავებული შესაძლებლობების მიხედვით შერეულ გუნდში) ბავშვებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ ერთმანეთისგან და დაეხმარონ ერთმანეთს.

ეფექტური მიდგომაა, როცა აღმზრდელები ნელ-ნელა ცვლიან და ართულებენ წესებიან თამაშებს. ბავშვებს შეუძლიათ გაუზიარონ აღმზრდელებს თავიანთი იდეები თამაშების შეცვლასთან დაკავშირებით. ზოგ ბავშვს თავად შეუძლია ახალი წესებიანი თამაშების მოგონება. წესებიანი თამაშის დროს აღმზრდელებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სწავლის პროცესს, მაგალითად, სთხოვონ ბავშვებს:

- აღწერონ ის მოძრაობები, რომლებსაც ასრულებენ შემდეგი თამაშების დროს: „აბა დამიჭირე“, „მე გავიქეცი“, „ხესთან ვარ“, „მე შორს ვარ“, „აი, ახლოს მოვედი“ და ა.შ.
- დაიძახონ იმ ბავშვის სახელი, ვისაც ბურთს ესვრიან ან ჩამოთვალონ თემასთან დაკავშირებული სახელები: მწერები, ცხოველები, ყვავილები და ა.შ.
- დაითვალონ, რამდენი ბავშვი იპოვეს და რამდენი დარჩა დამალული, ნაბიჯებით გაზომონ მანძილი გაშეშებულ ბავშვებს შორის;
- შეადარონ, რომელი ბურთი უფრო მაღლა ხტება და რომელი უფრო შორს მიფრინავს.

წესებიანი თამაშის დროს ასევე შეიძლება რაიმე ლექსის, გათვლის ან სიმღერის შესრულება (მაგალითად, „კლასობანას“ ან „კატათაგვობანას“ თამაშის დროს).

ეზოს მოძრავი თამაშები: ყოველდღიურად ბავშვებს სჭირდებათ საკმარისი დრო იმისათვის, რომ თავისუფლად იმოძრაონ: ირბინონ, იხტუნაონ, იძრომიალონ,

გამოსცადონ საკუთარი ძალები. ეს თითქმის ყოველთვის ეზოში უნდა ხდებოდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ძალიან ცუდი ამინდია (ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, ყინვა). აღმზრდელებსა და ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ყველა ამინდის შესაფერისი ტანსაცმელი, წვიმისა და თოვლის ჩათვლით. როდესაც გარეთ გასვლა შეუძლებელია, ეზო უნდა ჩაანაცვლოს სპორტულმა ან მუსიკის დარბაზმა, ხოლო თუ ასეთი სივრცე შენობაში არ არის, შესაძლოა სასკოლო მზაობის ჯგუფის ოთახის სივრცის მოწყობა აქტიური თამაშისათვის. როდესაც ფიზიკური აქტივობები დახურულ სივრცეში მიმდინარეობს, ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აქტივობა უკეთ სტრუქტურირებული უნდა იყოს. ტანვარჯიში, ჯგუფური მოძრავი თამაშები, სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებები გვთავაზობს ჯგუფში ჩასატარებელი აქტივობებისთვის საჭირო სტრუქტურას და ამავდროულად აძლევს ბავშვებს იმის საშუალებას, რომ იმოძრაონ და შეასრულონ ფიზიკური აქტივობები. ეფექტურია, როცა აღმზრდელები უნდა იცნობენ მრავალ განსხვავებულ თამაშსა და აქტივობას, რომლებიც პასუხობს აქტიური ფიზიკური თამაშის მოთხოვნილებას და ტარდება როგორც ეზოში, ისე სკოლამდელი დაწესებულების შენობაში.

ეზოში თამაშისას ბავშვებს ეძლევათ საშუალება:

- ბუნებრივად გამოხატონ საკუთარი თავი, იმოძრაონ და იხმაურონ;
- ისუნთქონ სუფთა ჰაერი და შეიგრძნონ სხვადასხვა ამინდი;
- კავშირი ჰქონდეთ ბუნებასა და ცოცხალ არსებებთან;
- ისაუბრონ ერთმანეთთან და დაისვენონ;
- დახარჯონ ენერგია;
- ითამაშონ წესებიანი და როლური მოძრავი თამაშები, რომლებიც საჭიროებენ დიდ სივრცესა და სამალავ ადგილებს.

ეზოს გარემო და საქმიანობები: ეზოს სივრცე უნდა მოიცავდეს მყარ, ბრტყელ ზედაპირებს, რომლებზეც ბავშვები დარბიან, ატარებენ ბორბლებიან ტრანსპორტს, თამაშობენ მოძრავ თამაშებს. ეზოს სივრცე უნდა მოიცავდეს ასევე რბილ ზედაპირებს,

რომლებზედაც მოთავსდება დიდი სათამაშო მოწყობილობები - სასრიალოები და სხვადასხვა ტიპის საძრომიალოები. ეზოში უნდა იყოს ასევე უსწორ-მასწორო ზედაპირის მქონე ბუნებრივი ადგილები: ბალახი, დიდი ქვები, ქვიშა და ხის კუნძები, რაც ბავშვებს მისცემს წონასწორობის დაცვის უნარების გავარჯიშების საშუალებას.

იდეალურ ეზოს აქვს პატარა გორაკი, საიდანაც ბავშვებს შეუძლიათ ისრიალონ თოვლში, აირბინონ და ჩამოირბინონ კარგ ამინდებში, გამოიყენონ სხვადასხვა სიუჟეტის წარმოსადგენად როლური თამაშების დროს. ეზოში არის ხეები, რომლებიც მზიან ამინდში ჩრდილის წყაროა. შემოდგომაზე ეზოში უამრავი ფოთოლია, რომლებსაც ბავშვები სათამაშოდ იყენებენ. ეზოშივე აგროვებენ სხვადასხვა უსაფრთხო მცენარის თესლებს, უვლიან მცენარეებს და სხვა.

ბავშვების სხვადასხვანაირ მოძრაობას წაახალისებს მიხვეულ-მოხვეული ბილიკები და ხიდები, გადასაბიჯებელი ბილიკები, რომლებიც შეიძლება დამზადდეს ქვისგან ან ხის კუნძებისგან; დაბალი კედლები (ბორდიური) ან ფიქსირებული ძელები წონასწორობის დასაცავად, საფეხურები, მოწყობილობები (მაგ., საბავშვო ბორბლებიანი ტრანსპორტი: ველოსიპედები, სკუტერები და სხვ.). ზემოთ აღნიშნული ბილიკები, კუნძები და სხვ. შესაძლებელია ბაღის ადმინისტრაციამ თავად მოაწყოს/დაამზადოს ზედმეტი ფინანსური დანახარჯის გარეშე, სასურველია, რომ ეზოს მოწყობის პროცესში მშობლებიც ჩაერთონ.

კარგ ამინდში ჯგუფის განრიგი უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ ბავშვებმა მეტი დრო გაატარონ ეზოში. ბევრი ტრადიციული საქმიანობა, მაგალითად, ხატვა, როლური თამაში, მისთ. შეიძლება გადავიტანოთ გარეთ. ეზოში როლური თამაშის თემები შეიძლება იყოს: ლაშქრობა, პიკნიკი, პლაჟი, ავტოგასამართი სადგური, მანქანების სამრეცხაო, სახანძრო, პოლიცია, სასწრაფო, მეკობრეები, განძის მაძიებლები, რკინიგზა, აეროპორტი და სხვა. ეზოში თამაში ბავშვებს აძლევს ამინდის, ბუნების, მცენარეებისა და მწერების გამოკვლევის შესანიშნავ შესაძლებლობას, წყლითა და მიწით თამაშის საშუალებას. ეზოში თამაშისას ბავშვებს შეუძლიათ ილაპარაკონ ხმამაღლა, გამოსცენ ხმამაღალი ბგერები, იმოძრაონ ენერგიულად და სხვა. ეზოში არსებული საფრთხეებისა და ფიზიკური დაშავების თავიდან

ასარიდებლად სისტემატურად უნდა შემოწმდეს ეზოს მოწყობილობები და მასალები, სახიფათო და დაზიანებული ნივთები კი ეზოდან უნდა გავიტანოთ ან შევაკეთოთ. ეზოში ბავშვებს საშუალება აქვთ შექმნან დიდი კონსტრუქციები. მუყაოს დიდი და საშუალო ზომის ყუთების, პლასტმასის ბოთლების კონტეინერების, ხისა და ბამბუკის ჯოხების, დიდი სამშენებლო კუბურების, პლასტმასის მილების, დიდი ზომის ქსოვილების, თოკებისა და სხვა მასალის საშუალებით. ბავშვებმა იციან, სად ინახება ეს მასალა და მათი გამოყენების წესები. ასეთი დიდი კონსტრუქციების ასაშენებლად ბავშვებს სჭირდებათ საკმაოდ დიდი დრო, რაც ეზოში ხანგრძლივი პერიოდის გატარებას მოითხოვს. კონსტრუირების დროს ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი და თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ისინი იყენებენ სხვადასხვა მასალას, შეისწავლიან მათ თვისებებს, ზომავენ, ითვლიან, გადაჭრიან სხვადასხვა პრობლემას ჩანაფიქრის განსახორციელებლად. აღმზრდელების წახალისებით, ბავშვები აღწერენ საქმიანობის პროცესსა და ნამუშევრებს, პასუხობენ აღმზრდელების მიერ დასმულ კითხვებს, რაც ხელს უწყობს ბავშვების მეტყველების უნარების განვითარებას. ნაშრომზე მუშაობის პერიოდში შევისწავლე, ბაგა-ბაღის ეზოს თამაშების გამოყენების ვითარება, შედეგი არც ისე სასიამოვნო აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ეზოები სუფთა იყო, იგი ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტებს. ან ჩრდილიანი არ იყო, ან ძალიან პატარა იყო, ან ეზო საკუთარი არ ჰქონდა და საერთო ეზოს სარგებლობდნენ, რითაც უსაფრთხოება ნაკლებად დაცული იყო.

ინდივიდუალიზება აქტიური ფიზიკური თამაშის დროს, შენობის შიგნით თუ გარეთ, აღმზრდელებს საშუალება აქვთ დააკვირდნენ ბავშვების მსხვილ მოტორულ უნარებს- მათი კუნთების სიძლიერეს, ამტანობას, მოქნილობას, კოორდინაციისა და ბალანსირების უნარებს. ამ დაკვირვებების შედეგად აღმზრდელებს შეუძლიათ დაგეგმონ თამაშები და აქტივობები ბავშვების საჭიროებების მიხედვით. აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს სხვადასხვა გზით. მაგალითად, ხის კუნძზე მოძრაობისა და გადახტომისას მას უჭირავს ბავშვის ხელი თავდაპირველად ძლიერად, შემდეგ კი ნელ-ნელა უშვებს ხელს და გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა დაინახავს, რომ ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად

გავლა და დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, საბოლოოდ გაუშვებს მას ხელს. დამფრთხალ ბავშვს, რომელიც ზემოთ მიძვრება, აღმზრდელმა შეიძლება, უბრალოდ, ურჩიოს: „არ ჩაიხედო ქვემოთ, იყურე იქით, საითაც მიდიხარ“, ან შესთავაზოს ხელთათმანები, რომ უკეთესად ჩაეჭიდოს ასაძრომ კონსტრუქციას. ზოგჯერ მას უბრალოდ შეუძლია წააქეზოს ბავშვები: „მგონი, დღეს შეგიძლია ორი საფეხურით მაღლა სცადო”.

თამაშის ელემენტები სხვადასხვა აქტივობაში: იმისათვის, რომ ჯგუფში მიმდინარე პროცესი მაქსიმალურად ეფექტური და დასამახსოვრებელი იყოს, ბავშვებს კი ჰქონდეთ შინაგანი მოტივაცია, საქმიანობები მათთვის სახალისო უნდა იყოს. ამისათვის აღმზრდელს თამაშის ელემენტები შეაქვს დღის განმავლობაში მიმდინარე სხვადასხვა საქმიანობაში.

ის ხალისიანად ურთიერთობს ბავშვებთან: იყენებს ხმის სხვადასხვა ინტონაციას, იუმორს, შემოქმედებით უნარებსა და სახის მიმიკებს.აღმზრდელი გეგმავს აქტივობებს, რომლებშიც ბავშვები ხალისით ერთვებიან და სიამოვნებას იღებენ. ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობებს ასრულებენ თამაშ-თამაშით; იყენებენ ხალისიან სიმღერებს, გათვლებსა და გამოცანებს აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისა და დალაგების დროს; თამაშობენ პატარ-პატარა სახალისო თამაშებს თავიანთი რიგის მოლოდინში. ეს გაცილებით ეფექტურს გახდის სასკოლო მზაობის ჯგუფში გატარებულ დროს.

დაკვირვებისას მივიჩნიე, რომ კარგი სტრატეგიაა, როცა აღმზრდელები ხალისიანი განწყობის შესაქმნელად იყენებენ დამხმარე ხელის თოჯინებს. შეიძლება ამ თოჯინების გამოყენება წრეში პირველ შეხვედრაზე, ბავშვებთან მისალმებისა და საუბრის დროს. ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს თოჯინები როლური თამაშებისას ან მოაწყონ წარმოდგენები სხვა ბავშვებისთვის.

სასკოლო მზაობის პროგრამას თ-ა-მ-ა-შ-ი სწორედ იმიტომ დაარქვეს, რომ სასკოლო მზაობის ჯგუფში თამაშით და სიხალისით არის გამსჭვალული დღის განმავლობაში მიმდინარე ყველა საქმიანობა. ეს არა მხოლოდ დაეხმარება ბავშვებს, რომ უფრო ადვილად, უფრო სწრაფად ისწავლონ და უკეთ დაიმახსოვრონ ნასწავლი, არამედ

უფრო მეტად სასიამოვნოსა და მნიშვნელოვანს გახდის მათ ცხოვრებას და სასკოლო მზაობის ჯგუფში გატარებულ დროს. ასევეა აღმზრდელებისთვისაც.

ამრიგად, სასკოლო მზაობის ჯგუფში თამაშს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც თმაშის დროს, ბავშვი შედის როლში, ასახიერებს სხვადასხვა პერსონაჟებს და უვითარდება ის უნარ-ჩვევები, რომელიც ბავშვის განვითარების საწინდარია. თამაშის დროს, ყველა როლსა და სიტუაციაში შესვლის დროს, ბავშვი გრძნობს პასუხისმგებლობას. თამაშის დროს, მასწავლებელი მხოლოდ გეზის მიმცემია და ეხმარება ბავშვებს შედეგზე გასვლაში, მაშინ, როდესაც აღმზრდელი ხვდება, რომ ბავშვს თავად შეუძლია დაძლიოს არსებული პრობლემა, ეთიშება თამაშს. თამაშის ყველა პროცესს აქვს თავისი დრო და მიზანი, როლი რომელსაც ირგებს ბავშვი. საბავშვო ბაღში გამოიყენება თამაშის ისეთი სახეები: როგორიცაა როლური თმაში, წესებიანი თამაში, ეზოს მოძრავი თამაშები.

§. 9 ფიზიკური გარემო, ავეჯის განლაგება და ესთეტიკა

ჯგუფის ფიზიკური გარემო, იქ არსებული ნივთები და მათი განლაგება დიდ ინფორმაციას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რას მოველით იქ მყოფი ბავშვებისგან, რას ვთავაზობთ მათ. ფიზიკურ გარემოს შეუძლია ეფექტურად ჩართოს ბავშვები სწავლის პროცესში. გარემო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სასკოლო მზაობის პროგრამისთვის, ვინაიდან ის მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო პროცესთან და ჯგუფის სოციალურ-ემოციურ გარემოსთან. აქედან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობების ეფექტიან წარმართვასა და, ზოგადად, ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესს. ფიზიკური გარემო უნდა პასუხობდეს იქ მყოფი ბავშვებისა და აღმზრდელების საჭიროებებსა და ინტერესებს. თითოეული ჯგუფი განსხვავდება სხვებისგან ბავშვების რაოდენობით, ფორმით, ნივთებითა და სხვ. შესაბამისად, ყოველი ოთახის მოწყობისას საჭიროა ინდივიდუალური

მიდგომა, რომლისთვისაც არ არსებობს უნივერსალური სწორი გზა. განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს და პრინციპს, რომლებიც გასათვალისწინებელია სასკოლო ჯგუფის გარემოს მოწყობისათვის. ბავშვებსა და აღმზრდელებს სჭირდებათ უსაფრთხო და კომფორტული სივრცე, რომელშიც მათ მიკუთვნილობის განცდა ექნებათ. სივრცე ამასთანავე კარგად უნდა იყოს ორგანიზებული, რათა შესაძლებელი გახდეს საგანმანათლებლო პროცესის მიზნობრივად და შეუფერხებლად წარმართვა. როდესაც გარემო ნაცნობია და არ არის მოულოდნელობებით აღსავსე, ბავშვები შეძლებენ უფრო თავდაჯერებულად და დამოუკიდებლად მოქმედებას, რაც ხელს შეუწყობს მათი სწავლის უნარების განვითარებას.

ავეჯი: სასკოლო მზაობის ჯგუფში საჭიროა, ძირითადად, ხუთი ტიპის ავეჯი/ინვენტარი: მაგიდები, სკამები, თაროები, კარადები და ხალიჩები. მათი მოხმარებისთვის და სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისთვის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. საკლასო ოთახში ავეჯი ბავშვის ზომის უნდა იყოს. მაგიდები და სკამები უნდა იყოს მყარი და გამძლე, მაგრამ საკმაოდ მსუბუქი. ხალიჩა (ან ხალიჩები) უნდა იყოს ერთი ნეიტრალური ფერისა ან ჰქონდეს სადა მოხატულობა. ჯგუფში უნდა იყოს ერთი დიდი ხალიჩა, რომელზედაც ერთდროულად დაეტევა ყველა ბავშვი, თუმცა იგი არ უნდა ფარავდეს მთელ იატაკს ან მის უმეტეს ნაწილს. ხალიჩა უნდა იყოს რაც შეიძლება დაბალბეწვიანი, არ ისვრებოდეს ადვილად და მარტივად იწმინდებოდეს. ჯგუფში ძირითად ავეჯს წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და ფორმის თაროები, რომელთა მეშვეობით ოთახის სივრცე ცენტრებადაა დაყოფილი. ამ ცენტრებში სხვადასხვა სახის მასალა ინახება. მათი უმრავლესობა ისეთი სიმაღლისაა, რომ ბავშვებს თავად შეუძლიათ მისწვდნენ თაროებზე განთავსებულ ნივთებს. იმისათვის, რომ ბავშვებმა მარტივად შეძლონ საჭირო მასალების მოძებნა და იცოდნენ, სად (რა ადგილზე) უნდა დააბრუნონ გამოყენებული ნივთები. თაროების ზედაპირი და მასზე განთავსებული მასალები კარგად უნდა იყოს ორგანიზებული და დახარისხებული, თან ახლდეს შესაბამისი დასახელება და სურათი/ნახატი. კარიან ან ფარდაჩამოფარებულ კარადებში, რომლებზეც ბავშვებს ხელი

არ მიუწვდებათ, აღმზრდელი ინახავს მასალას, რომლის გამოყენებას მომავალში გეგმავს. საწმენდი საშუალებები, წამლები და პირადი ნივთები, სასურველია, ინახებოდეს საკეტიან კარადაში. ყველა დანარჩენი მასალა ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ჯგუფის სივრცის ორგანიზება ცენტრებად: სასკოლო მზაობის ჯგუფის სივრცის მოწყობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეყრდნობა. ბავშვების ხელშემწყობი და ეფექტური გარემოს მისაღწევად ჯგუფის სივრცე ორგანიზებულია ცენტრებად - აქტივობების ტიპისა და შინაარსის მიხედვით გამოყოფილ სივრცეებად. ოთახში ერთიანი ღია სივრცის არსებობა ბავშვებს სირბილის ან პრობლემური ქცევის გამოვლენის მეტ შესაძლებლობას აძლევს. ოთახის ცენტრებად დაყოფა, ცხადია ამცირებს ამ სივრცეს. ბავშვები მიდიან აქტივობის ცენტრში იმისათვის, რომ გამოიყენონ იქ განთავსებული მასალები და იქვე რჩებიან აქტივობის დასრულებამდე. ბავშვებს შორის უფრო პოზიტიური ურთიერთობები მყარდება იმ შემთხვევაში, თუკი ცენტრში შედარებით ნაკლები რაოდენობის ბავშვი მოიყრის თავს. კარგად გამოყოფილ სივრცეში ბავშვები უკეთესად ერთვებიან აქტივობებსა და კომპლექსურ თამაშებში.

ცენტრები იძლევა მრავალფეროვანი საქმიანობების ერთდროულად წარმართვის საშუალებას, რაც, თავის მხრივ, ბავშვებს ასწავლის არჩევანის გაკეთებასა და დამოუკიდებლობას, უვითარებს სოციალურ-ემოციურ უნარებს ცენტრებში მიმდინარე ინტერაქციის მეშვეობით.

კონსტრუქციის ცენტრი: ხმაურის შესამცირებლად ცენტრში სასურველია ხალიჩა იყოს დაფენილი. ცენტრისთვის საჭიროა შედარებით ღია სივრცე, რომელიც ბავშვებს მისცემს საშუალებას, ააშენონ კონსტრუქციები დიდი და პატარა ზომის კუბურებით. ცენტრში განთავსებული იქნება სხვადასხვა ზომის კუბურები, აგრეთვე მასალები, რომლებსაც დამატებით შემოიტანენ სასწავლო თემის შესაბამისად: მაგალითად, სათამაშო ტრანსპორტი (მსუბუქი და სატვირთო მანქანები), პატარა ზომის ცხოველებისა და ადამიანების ფიგურები და სხვ.

მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების ცენტრი: სასურველია, რომ ეს სივრცე მაქსიმალურად იყოს გამოყოფილი სხვა „აქტიური“ ცენტრებისგან და იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ბავშვებმა მშვიდად დაათვალიერონ წიგნები. ცენტრში თავმოყრილია წიგნები, რომლებსაც აღმზრდელი პერიოდულად ცვლის თემის შესაბამისად. წიგნებთან ერთად ცენტრში მოთავსებულია პლაკატები, დაფისა და მაგნიტური ასოები და წიგნიერების განმავითარებელი სხვა რესურსები.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი: სასურველია ცენტრში იყოს მაგიდა, სკამები, სხვადასხვა სახის სათავსოები, სადაც შესაძლებელი იქნება სახატავი საშუალებების, თიხის, ქსოვილის პატარა ნაჭრების თუ ხატვის დროს გამოსაყენებელი „საშინაო ტანისამოსის“ შენახვა. აქვე უნდა იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ალბომები მხატვართა ნამუშევრებით.

საშემსრულებლო ხელოვნებისა და როლური თამაშების ცენტრი: ეს სივრცე საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისათვის, რომ ბავშვებმა თამაშის დროს შეზღუდულად არ იგრძნონ თავი. სივრცე უნდა იძლეოდეს ცვლილებების შეტანის საშუალებას თემის მიხედვით. მაგალითად, სივრცე, თემის შესაბამისად, შეიძლება გადაკეთდეს წყალქვეშა სამყაროდ, სამზარეულოდ ან ტყედ. მასალები შეიძლება აღმზრდელმა თავად დაამზადოს ან გამოიყენოს მეორადი მასალა. შესაძლებელია აგრეთვე ბავშვების მიერ სხვა ცენტრებში შექმნილი ნამუშევრების მოტანა და გამოყენება.

წყნარი სივრცე: ერთი ან ორი ბავშვისთვის განკუთვნილი პატარა სივრცე, რომელიც რბილი ხალიჩითა და მუთაქებით არის გაწყობილი. საჭიროების შემთხვევაში ეს სივრცე ბავშვებს დასვენების საშუალებას უნდა აძლევდეს. შესაძლებელია ეს სივრცე გავაერთიანოთ წიგნიერების ცენტრთან ან მის მახლობლად მოვაწყოთ. ცენტრების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს ჯგუფისთვის გამოყოფილი სივრცის გათვალისწინებით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გარკვეული ტიპის აქტივობები აღარ ჩატარდება. ასეთ შემთხვევაში ცალკეული ცენტრები, უბრალოდ, გაერთიანდება ერთ ცენტრად. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, თუ რა ტიპის სივრცე ესაჭიროება ამა თუ იმ ცენტრს

მაგიდები თუ ხალიჩით მოწყობილი ღია სივრცე. მაგალითად, წრეში შეხვედრები და კონსტრუქციული აქტივობები შესაძლებელია ერთ ცენტრში ჩატარდეს; წყნარი სივრცე გაერთიანდეს მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების ცენტრთან; ერთ ცენტრად მოეწყოს ისეთი ცენტრები, რომლებიც სამაგიდო სამუშაოს მოითხოვენ: სახელოსნო, სახვითი ხელოვნებისა და რაოდენობრივი წარმოდგენების ცენტრები. ორი ან მეტი ცენტრის შეერთებისას რეკომენდებულია მასალების სხვადასხვა თაროზე გადანაწილება და ორგანიზება აქტივობების ტიპის მიხედვით. თუ ოთახში დიდი სივრცეა, სასურველია, რომ

აღმზრდელები შემოქმედებითად მიუდგნენ სივრცის მოწყობის პროცესს მოიფიქრონ და დაამატონ ახალი ცენტრები.

უსაფრთხოების მიზნით, ყველა ცენტრი აღმზრდელებს უნდა აძლევდეს ზედამხედველობის საშუალებას. სივრცეზე დაკვირვება შესაძლებელი უნდა იყოს ოთახის ერთი ადგილიდან მაინც.

ცენტრების შერჩევის წესები: ვინაიდან დროის ყოველი კონკრეტული მონაკვეთისთვის ცენტრში ბავშვთა რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს (წრეში შეხვედრების სივრცის გარდა), საჭიროა შევიმუშაოთ სამართლიანი „როტაციის“ სისტემა, რათა ყველა ბავშვს შეეძლოს სხვადასხვა ცენტრში მიმდინარე აქტივობებში ჩართვა.

ამდენად, ჯგუფის სივრცეების გამოყოფის დროს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ცენტრები ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს ორ მოთხოვნას: ერთი მხრივ, ისინი კარგად უნდა იყოს ერთმანეთისგან გამოყოფილი, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას აძლევდეს აღმზრდელს, რომ დააკვირდეს ცენტრებში მიმდინარე საქმიანობებს. გარემო მიმზიდველი და საინტერესო უნდა იყოს სრულდღიანი პროგრამის ჯგუფებში აღმზრდელები და ბავშვები სკოლამდელ დაწესებულებაში დღის უფრო დიდ ნაწილს ატარებენ, ვიდრე შინ, ამის გათვალისწინებით აუცილებელია ვიზრუნოთ იმაზე, რომ ეს დრო ბავშვებმა მათთვის სასიამოვნო და კომფორტულ გარემოში გაატარონ. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მარტივად და მცირე დანახარჯებით.

რეკომენდირებულია შემდეგი სახის ცენტრები: კონსტრუქციის ცენტრი, მეტყველების, კომუნიკაციისა და წიგნიერების ცენტრი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი, საშემსრულებლო ხელოვნებისა და როლური თამაშების ცენტრი, წყნარი სივრცე.

§ 10 ჯგუფის ფიზიკური გარემოს ცვლილებები

სასკოლო მზაობის ჯგუფის გარემო კარგად ორგანიზებული და სტაბილური უნდა იყოს, აქედან გამომდინარე, გარემოს რადიკალურად გარდაქმნა მიზანშეწონილი არ არის. მიუხედავად ამისა, წლის განმავლობაში შესაძლოა საჭირო გახდეს გარემოში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ცვლილებას, ძირითადად, მოითხოვს ცენტრის შინაარსობრივი მხარე, რომელიც ახალი თემების შესაბამისად მცირედით იცვლება. ცენტრებში ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. ამას გარდა, ცვლილებები საჭიროა იმ შემთხვევაშიც, თუკი რაიმე პრობლემის მოგვარება ფიზიკური სივრცის შეცვლით შეიძლება. იმისათვის, რომ ასეთი ცვლილებები ბავშვებისთვის ადვილად შესაგუებელი იყოს, წინასწარ დაელაპარაკეთ მათ, აუხსენით, რა შეიცვლება და რა მიზეზის გამო. მაგალითად, აღმზრდელი ამჩნევს, რომ სახვითი ხელოვნების ცენტრში ბავშვები ხშირად კამათობენ და ერთმანეთს ეჯახებიან, რის გამოც ის გადაწყვეტს ცენტრის ფართობის გაზრდას. ვინაიდან არსებული სივრცე არ იძლევა ცენტრის გაფართოების საშუალებას, აღმზრდელი პრობლემას აგვარებს სახვითი ხელოვნებისა და სახელოსნოს ცენტრების გაერთიანების გზით.

ჯგუფის რესურსების შერჩევისას რეკომენდირებულია არა მხოლოდ ის მასალები და რესურსები, რომელთაც ტრადიციულად იყენებენ სკოლამდელ დაწესებულებებში (მაგ., საკანცელარიო ნივთები, პლასტმასის კუბურები და ა.შ.), მასში განხილულია ასევე ისეთი მასალა და რესურსები, რომლებიც არ გვხვდება სასწავლო რესურსების ტრადიციულ ჩამონათვალში, მაგრამ ძალიან ეფექტურია ბავშვებთან მუშაობისას, სასწავლო რესურსები და სათამაშოები ისეა შერჩეული, რომ წაახალისოს ბავშვების

მოქმედება, მოძრაობა, შემოქმედებითობა, შემეცნება და მისცეს მათ ყველა სფეროს განვითარების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ არსებული მასალა და რესურსები ხელს უწყობდეს მრავალმხრივ განვითარებას, შეესაბამებოდეს ადგილობრივ კულტურას, პასუხობდეს ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებს. ამისათვის კი ხშირად საუკეთესო რესურსს წარმოადგენს შედარებით იაფი მეორადი (გადამუშავებული) ხელნაკეთი მასალა.

მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობა: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბაღში არსებული მასალა და რესურსები იძლეოდეს მათი მრავალმხრივი გამოყენების საშუალებას. რესურსი მით უფრო ღირებულია, რაც უფრო მეტ და სხვადასხვაგვარ აქტივობასა თუ თამაშში შევძლებთ მის გამოყენებას. ამ ტიპის რესურსები მნიშვნელოვანია იმით, რომ ხელს უწყობს ბავშვების სრულფასოვან განვითარებას და მდგრადი გარემოს ჩამოყალიბებას, ასევე საბავშვო ბაღის რესურსების დაზოგვას. მაგალითად, დიდი ზომის ცარიელი ყუთების გამოყენება შეიძლება „ავეჯის“ ან დახლების ნაცვლად ნებისმიერ ცენტრში, ასევე „სახლის“ ან სხვა შენობის ასაშენებლად, გასატიხრად და ა.შ. შესაძლებელია ყუთების გამოყენება შესანახ სივრცედ, აგრეთვე როლური თამაშებისთვის საჭირო სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების (მანქანა, ავტობუსი, მატარებლის ვაგონი) დასამზადებლად.

პროგრამაში ტერმინი „თავისუფალი ნაწილები” გამოიყენება ისეთი მასალის აღსანიშნავად, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ერთი კონკრეტული ფუნქცია ან შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალი სხვადასხვა გზით.. ეს შეიძლება იყოს როგორც ძალიან მცირე ზომის ნივთები (მაგალითად, სხვადასხვა სახის შუშის ან სხვა მასალის პატარა ბურთულები/მძივები), ისე დიდი ზომის ნივთები/საგნები (მაგალითად, სხვადასხვა სიგრძის ხის დაფები როლური თამაშებისთვის). „თავისუფალი ნაწილები” ბავშვებს აძლევს კვლევის, აღმოჩენების, შექმნისა და წარმოსახვისგამოყენების შესანიშნავ საშუალებას, აღმზრდელს კი ეხმარება აქტივობებისა და თამაშების შექმნაში, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული ცნებების ახსნასა და დემონსტრირებაში.

კულტურული კონტექსტი: ბავშვები ყველაზე კარგად სწავლობენ და ვითარდებიან მაშინ, როდესაც გრძნობენ, რომ ბაღის გარემო ნაცნობია და კომფორტული; როდესაც იციან, რომ აქ მზად არიან მათ დასახმარებლად. ჩვენ უკეთ ვსწავლობთ, როდესაც ჩვენგან ელოდებიან იმით დაწყებას, რაც უკვე ვიცით. შედეგიანია საკუთარი კულტურის გაცნობის ელემენტების ჩართვაც. მაგალითად, როლური თამაშების დროს სასურველია, რომ გამოსაყენებელი მასალა (ტანსაცმელი, სხვადასხვა აქსესუარი და ა.შ.) შეირჩეს იმ ნივთებისაგან, რომლებიც ყოველდღიურად გამოიყენება ბავშვების სახლებში და ამასთანავე ატარებს ადგილობრივი კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს. ეს შეიძლება იყოს ხელოვნების ცენტრში წარმოდგენილი თექის მასალა, რომელსაც ბავშვები იყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობებსა თუ პროექტებში; ქართული საკრავი ინსტრუმენტები (მაგალითად, ფანდური, სალამური, დოლი და სხვ.); ქვეყანაში თუ ადგილობრივ თემში გავრცელებული ნივთები. ბავშვები სწავლობენ ტრადიციულ სიმღერებსა და ცეკვებს ბავშვზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის გამოყენებით. ამ დროს ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული წარმოდგენებსა და ზეიმებზე. კედლებზე გაკრული ადამიანების სურათები და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში წარმოდგენილი თოჯინები ადგილობრივი მცხოვრებლების მსგავსად უნდა გამოიყურებოდნენ, აქვე უნდა იყოს გამოფენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ცალკეული ადგილების სურათები. უფრო მოგვიანებით, სასწავლო წლის განმავლობაში, ბავშვებს თანამიმდევრულად უნდა წარვუდგინოთ უცხოეთში მცხოვრები ადამიანებისა და უცნობი ადგილების სურათები. ამ გზით ბავშვები ნელ-ნელა გაეცნობიან მსოფლიოში არსებულ მრავალფეროვნებას. გარდა ამისა, ბავშვებს უნდა შევთავაზოთ ისეთი თემები, როგორიცაა, მაგალითად: „რას და როგორ ჭამენ ადამიანები?". ამ თემის გაცნობისას ბავშვები შეადარებენ ქართულ და სხვადასხვა ქვეყნის პურის ნაირსახეობებს; აგრეთვე ჭამის დროს გამოყენებულ ჭურჭელსა და სხვა დამხმარე მასალებს.

აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული სახეობის პური, საჭმელი ან ჭურჭელი კონკრეტულ გარემოსა და კონკრეტული ქვეყნის კულტურას (მათ შორის, საქართველოს მაგალითის გამოყენებით).

შესაბამისობა ბავშვის საჭიროებებთან და ინტერესებთან : მრავალფეროვანი მასალა და რესურსები, მათ შორის "თავისუფალნაწილებიანი" მასალა (მასალა, რომლის ტრანსფორმაცია ბავშვს შეუძლია საკუთარი სურვილით, ნიმუშის გამოყენების გარეშე), გვეხმარება თითოეული ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებაში. ძირითადი მასალითა და რესურსებით სიამოვნებით ისარგებლებენ როგორც გოგონები, ისე ბიჭები, თუმცა აქვე უნდა იყოს წარმოდგენილი ისეთი მასალაც, რომელიც შესაძლოა ერთ-ერთ სქესს ეფრო მეტად იზიდავდეს: გოგონებისა და ბიჭების კოსტიუმები როლური თამაშებისთვის, თოჯინები, მსუბუქი და სატვირთო მანქანები, სხვა ნივთები. ისეთი მასალები, როგორებიცაა ასაწყობი „ფაზლები" (იხ. ილუსტრაცია) და სხვა სამაგიდო თამაშები, არ უნდა იყოს ძალიან რთული 5 წლის ბავშვებისთვის. ეს არა მხოლოდ პასუხობს სხვადასხვანაირი შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებებს, არამედ ძალზე ეხმარება ცალკეულ ბავშვებს პროგრესის მიღწევაში. ბავშვმა, რომელსაც 10-ნაწილიანი „ფაზლის" აწყობა რთულად ეჩვენება წლის დასაწყისში, წლის ბოლოს შეიძლება 50-ნაწილიანიც ააწყოს.

ხელნაკეთი რესურსები : ვინაიდან აღმზრდელი ყველაზე უკეთ იცნობს ჯგუფის საჭიროებებს, ინტერესებსა და ბავშ-ვების განვითარების დონეს, მას შეუძლია თავად დაამზადოს საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც განსაკუთრებულად სასარგებლო, ეფექტური და ბავშვებისთვის მოსაწონი იქნება. აღმზრდელებს შეუძლიათ ბავშვებთან ერთადაც დაამზადონ ნივთები და შემდეგ გამოიყენონ ისინი ამა თუ იმ საქმიანობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელნაკეთი ნივთების დამზადება რთდროულად მრავალი უნარის განვითარებას უწყობს ხელს. ბავშვები უკეთ თამაშობენ და სწავლობენ ხელნაკეთი მასალებითა და სათამაშოებით, განსაკუთრებით, თუ ისინი თავად არიან ჩართულნი ამ მასალის მომზადებაში. მაგალითად, წიგნიერების განვითარებისთვის

გამოიყენება ასოები, რომლებიც ხშირად ნაბეჭდი სახით (პლაკატზე ან ბარათებზე) არის მოწოდებული, მაგრამ ბავშვებს შეუძლიათ თავად დაამზადონ ასოები მუყაოს, ფანქრების, საღებავების ან წებოსა და სხვადასხვა მასალის (ქვიშა, ბრინჯი, წიწიბურა) გამოყენებით. ამ შემთხვევაში ვითარდება როგორც სენსო-მოტორული და შემოქმედებითი უნარები, ისე წიგნიერების უნარები.

მეორადი (გადამუშავებული) მასალა: აღმზრდელს შეუძლია მეორადი (გადამუშავებული) მასალა თვითონ შეაგროვოს ან ბავშვებსა და მშობლებს სთხოვოს ზოგიერთი მეორადი მასალის სახლებიდან მოტანა. ბავშვების უსაფრთხოების დასაცავად აღმზრდელი დეტალურად უხსნის მშობლებსა და ბავშვებს, რა სახის (დარა მდგომარეობაში) მეორადი მასალის გამოყენებაა შესაძლებელი სასკოლო მზაობის ჯგუფში.

უმნიშვნელოვანესია, რომ ნივთი იყოს ცარიელი და არ ჰქონდეს წვეტიანი კუთხეები. მეორად მასალად დაუშვებელია ასევე ტოქსიკური ნივთიერებების (მაგ., ქლორის) შემცველი კონტეინერების გამოყენება. მეორადი მასალის ჩამონათვალი განუსაზღვრელი შეიძლება იყოს, ამიტომ აქ შემოგთავაზებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. ესენია: მაქმანები, ღილები, სხვადასხვა ქსოვილის ნაჭრები/ნაკუწები, ძველი ტანსაცმელი, საჭმლის (არაჟანი, მაწონი, რძე, წვენი ან სხვა) პლასტმასის კონტეინერები, წყლის ან წვენის პლასტმასის ბოთლები, ბოთლების თავსახურები და კორპის საცობები, მუყაოს ყუთები (ფეხსაცმლის, ჭურჭლის, სათამაშოების, ტექნიკის), ცელოფნის ერთ ჯერადი პარკები, არატოქსიკური ჰიგიენური და სანიტარული საშუალებების ჭურჭელი (კრემების, შამპუნების, თხევადი საპნის, ჭურჭლის სარეცხისა და სხვ.), მძივები, ლენტები, ფერად ჟურნალები და გაზეთები, A4 ფორმატის ფურცლები, დალეული ფანქრები და ფლომასტერები და სხვა მრავალი. საჭმლისა და ჰიგიენურ-სანიტარული საშუალებების ცარიელი კონტეინერები წარმატებით

გამოიყენება სამშენებლო აქტივობებში, მით უმეტეს, თუ მანამდე ბავშვები შეღებავენ ან სხვადასხვა მასალით დაფარავენ კონტეინერებს. მათი გამოყენება კარგადაა

შესაძლებელი ასევე პასტების, საღებავების, ფანქრებისა და ხელოვნების სხვა მასალის ჩასალაგებლად. დალეული ფანქრებით, ღილებით, ცელოფნებით, ქსოვილებითა და ფერადი ჟურნალებით მზადდება ლამაზი აპლიკაციები, რაც ძალიან სახალისოა ბავშვებისათვის.

იაფი და ბუნებრივი მასალა: ისეთი ნივთები, როგორებიცაა ერთჯერადი ჭურჭელი, წვენის საწრუპები, კბილის ჩხირები, ნაყინის ჩხირები, მძივები, ძაფები, ნაჭრები და თასმები, ზონრები, ბამბა, შესაფუთი ქაღალდი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი რესურსი იყოს ისეთი საქმიანობების განხორციელებისას, რომლებიც დაკავშირებულია სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან, საშემსრულებლო ხელოვნებასთან, რაოდენობრივ წარმოდგენებთან, ბუნებასა და ფიზიკურ სამყაროსთან. გარდა ჩამოთვლილი მასალისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო მზაობის ჯგუფში წარმოდგენილი იყოს ბუნებრივი მასალა, რომელიც ასევე წარმატებით გამოიყენება მრავალ აქტივობასა თუ პროექტში და ემსახურება მრავალი უნარის (სენსორული, შემოქმედებითი, მოტორული და სხვა) განვითარებას. ბუნებრივ მასალაში იგულისხმება სხეულები, რომლებსაც ბავშვები ბუნებაში ყოფნისას ხვდებიან და თავად შეუძლიათ მათი შეგროვება. ბუნებრივი მასალის მაგალითებია: გირჩები, რკოები, ნიჟარები, ტოტები, ფოთლები, კენჭები, ხის ნაფოტები და სხვა.

მრავალფეროვანი და მიმზიდველი მასალა: ბავშვებში გარემოს ესთეტიკური აღქმისა და თვითგამოხატვის ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური გარემო და ჯგუფში არსებული რესურსები მაქსიმალურად ესთეტიკური და მოწესრიგებული უნდა იყოს. მაგალითად, რესურსების დალაგება ფერების მიხედვით ხელს უწყობს ბავშვის გემოვნების ჩამოყალიბებას და ეხმარება მას ფერების ამოცნობაში. აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ზრუნავს იმაზე, რომ ჯგუფში მასალა ესთეტიკურად მიმზიდველად და ლამაზად იყოს წარმოდგენილი.

კვლევა და აღმოჩენა:ეს დრო დღის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში იკვეთება ყველაზე ნათლად თამაშის არსი. ნახევარდღიან

პროგრამაში კვლევისა და აღმოჩენების დრო უნდა გაგრძელდეს, სულ მცირე, ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში,

სრულდღიან პროგრამებში კი მას უფრო მეტი დრო (ან ორი სესია) უნდა დაეთმოს.

კვლევისა და აღმოჩენების დროს სხვადასხვა ცენტრში ერთდროულად მიმდინარეობს შემდეგი საქმიანობები:

- ბავშვები თამაშობენ და მუშაობენ მასალით, რომელიც თავად შეარჩიეს; ერთვებიან მათ მიერ არჩეულ წესებიან თამაშებში ან აქტივობებში სასურველი ტემპით;
- ბავშვები მუშაობენ თემასთან დაკავშირებულ პროექტზე;
- ბავშვები ჩართულნი არიან თემასთან დაკავშირებულ აქტივობაში, რომელიც აღმზრდელის მიერაა დაგეგმილი;
- ბავშვები მონაწილეობენ თემასთან დაკავშირებულ როლურ თამაშში.

კვლევისა და აღმოჩენების დროს ჯგუფის ყველა რესურსი ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის. მას შემდეგ, რაც ბავშვები მასალებით სარგებლობას დაასრულებენ, ისინი აბრუნებენ სათამაშოებსა და მასალებს სათანადო ადგილზე. ახალ აქტივობაზე გადასვლამდე ბავშვები ალაგებენ და ასუფთავებენ ტერიტორიას, სადაც თამაშობდნენ ან მუშაობდნენ. აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე წინასწარ გეგმავენ „დავალებებს“. როგორც წესი, ერთ-ერთი მუშაობს პროექტზე მომუშავე ბავშვებთან, მეორე კი ოთახში მიდი-მოდის და უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ჩართულობას შინაარსიან საქმიანობაში, საჭიროების შემთხვევაში კი ეხმარება ბავშვებს პრობლემის გადაჭრაში და ხელს უწყობს სწავლისა და უნარ-ჩვევების განვითარების პროცესს. დაგეგმილი საქმიანობის საწყის ეტაპზე ხშირად აუცილებელია, რომ აღმზრდელმა განუმარტოს ბავშვებს შესასრულებელი სამუშაოს არსი. კვლევისა და აღმოჩენების პერიოდის დამახასიათებელი ნიშნები:

- „საქმიანი“ ხმაური, რომელიც არ არის მეტისმეტად ძლიერი;
- მოძრაობა და აქტიურობა, რომელიც არ არის ქაოტური;
- თანამშრომლობა კონფლიქტის გარეშე;

- ბავშვები, რომლებიც ჩართულნი არიან საქმიანობაში საკმაო დროის განმავლობაში, სანამ სხვა საქმიანობაზე გადავლენ;
- აღმზრდელები, რომლებიც აკვირდებიან და ურთიერთობენ ბავშვებთან, წაახალისებენ (მაგრამ არ აკონტროლებენ) მათ მოქმედებებს.

კვლევისა და აღმოჩენების დროს გარეშე დამკვირვებელს შეუძლია ნათლად დაინახოს და შეიგრძნოს აღმზრდელებისა და ბავშვების მოქმედებების მიზნობრივი და ნებაყოფლობითი ხასიათი.

§. 11 დღის განრიგი სრული დღის პროგრამისათვის

9:00 - 9:15 მიღება, პირველი შეხვედრა წრეში

9:15 - 10:00 ეზოს მოძრავი თამაშები

10:00-10:30 საუზმე

10:30- 11:00 მუსიკა, ცეკვა, რიტმიკა

11:00 – 12:15 კვლევისა და აღმოჩენების დრო

12:15- 12:35 წიგნის დრო

12:35- 13:00 საქმიანობები მცირე ჯგუფებში

13:00-13:30 ეზოს მოძრავი თამაშები 2

13:30- 14:00 სადილი

14:00-15:00 დასვენება

15:00-15:30 წიგნის დრო 2 და/ან სიმღერა და/ან ჯგუფური წესებიანი თამაში

15:30 -16:45 კვლევისა და აღმოჩენების დრო 2

16:45-17:15 სამხარი

17:15-17:35 შემაჯამებელი შეხვედრა წრეში

17:35-18:00 ალაგება, მომზადება სახლში წასასვლელად.

აღვწეროთ ერთი დღე სასკოლო მზაობის ჯგუფში

მიღება და მისალმება. (09:45-10:00). 10 საათზე ნინო (აღმზრდელი) და მისი თანაშემწე ანა იწყებენ პირველ შეხვედრას წრეში 25 ბავშვთან ერთად. წრეში შეხვედრის დაწყებამდე ბავშვები ათვალიერებდნენ წიგნებს, ხატავდნენ, თამაშობდნენ და აშენებდნენ კონსტრუქციებს კუბურებით. დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში ბავშვების უმრავლესობა მონაწილეობას იღებს წარმოსახვით თამაშში. იგი ჰგავს პოპულარულ სატელევიზიო შოუს, რომელშიც მომღერლები და მოცეკვავეები გამოდიან და ეჯიბრებიან ერთმანეთს.

დღის გეგმა და ბავშვების „სამუშაო“ (მორიგეობა)

ყოველ დილით, წრეში პირველ შეხვედრამდე, ბავშვები გამოკრულ ცხრილში პოულობენ საკუთარ ფოტოსა და სახელს და აღნიშნავენ დასწრებას. **კომენტარი:** *ყოველ დილით დღის განრიგის გაცნობა ბავშვებს დაეხმარება უკეთ წარმოიდგინონ დაგეგმილი საქმიანობები და შეიქმნან სწორი მოლოდინები, რაც უფრო მეტ დამოუკიდებლობას შესძენს მათ. ყოველდღიურად განსხვავებული „სამუშაოს“ შესრულება დადებითად მოქმედებს აღსაზრდელების თვითშეფასებაზე, ვინაიდან ამ გზით ბავშვებს ვაკისრებთ გარკვეული სერიოზული ფუნქციის შესრულებას.*

პირველი შეხვედრა წრეში

(10:00-10:20) იწყება მისასალმებელი სიმღერით „მეგობრები“, ოღონდ ერთი ცვლილებით: როდესაც ბავშვები საკუთარ სახელებს ამბობენ, ისინი ასევე ასახელებენ ერთი რომელიმე ნივთის სახელს, რომელიც შეიძლება იყოს თვითმფრინავში ან აეროპორტში. კედელზე გაკრულია სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია საჰაერო მგზავრობასთან. მათ გვერდით მოთავსებულია ჩანახატები, სიმბოლოები და მინიშნებები. სიის შედგენა დაიწყო მაშინ, როდესაც თემა შეირჩა და მას ყოველდღიურად ემატება რამდენიმე ახალი სიტყვა.

ამის შემდეგ ბავშვები წყვილდებიან და გარკვეული დროის განმავლობაში წყვილებში საუბრობენ სიახლეებთნ დაკავშირებით ან იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება გაუხარდებათ დღს.

ურთიერთობის დროს ბავშვები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, კითხვების დასმას და რიგითობის დაცვას.

საუზმე (10:20-10:50) საუზმისთვის გამოყოფილი ნახევარი საათის განმავლობაში ბავშვები იბანენ ხელებს, მიირთმევენ საუზმეს. საუზმის დროს ბავშვები ძალდაუტანებლად ესაუბრებიან ერთმანეთს. ბავშვები უსვამენ შეკითხვებს და წარმართავენ დისკუსიას საკვების შესახებ: რისგან კეთდება, რა ინგრედიენტებს შეიცავს, როგორ მზადდება კერძი, ვინ ამზადებს კერძს, რომელია ჯანსაღი საკვები და როგორ ეხმარება ეს საკვები ბავშვს ზრდაში.

კვლევისა და აღმოჩენების დრო: (10:50-11:35)**.** მიმდინარეობს მუშაობა თემასთან შემოდგომა. ბავშვები მუშაობენ მაგიდებთან, ზოგი ფოთლებს ჭრის, ზოგი ხის კონსტრუქციას ქმნის პლასტენინისგან, ზოგიც მუყაოს სახლებს აშენებს ისეთს სადაც ორი ან ერთი ბავშვი მოთავსდება. თამაშის დროს ცენტრებიდან იღებენ საჭირო ნივთებს, აქტივობა მიმდინარეობს ერთი საათის განმავლობაში, რაც მიზნისათვის საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა.

კომენტარი: *აღმზრდელი ბავშვებს შეახსენებს წესს და მოუწოდებს მისი დაცვისკენ.* წესების არსებობა და მათზე შეთანხმება ჯგუფის პოზიტიური მართვის ერთ-ერთი წინაპირობაა, მაგრამ აღმზრდელი მკაცრად არ ერევა ბავშვების საქმიანობაში. ის, უბრალოდ, გამოსავალს სთავაზობს ჩიხში შესულ ბავშვებს. ამ შემთხვევაში ბავშვები, პირველ რიგში, სწავლობენ ჯგუფში წესების დაცვის მნიშვნელობას და პოულობენ მათთვის რთული სიტუაციიდან გამოსვლის ახალ გზას.

კომენტარი: *აღმზრდელი საჭირო დროს სთავაზობს დახმარებას ბავშვებს, რითაც მათ ეხმარება ახალი ცოდნის კონსტრუირებაში.* დაახლოებით 11 საათზე თანაშემწე ახსენებს დროს , თან აცხადებს, რომ აქტივობების დრო 5 წუთში იწურება და ბავშვებმა დალაგება

უნდა დაიწყონ. ის მიუთითებს კედლის საათზე და აღნიშნავს: „გრძელი ისარი ახლა 11-ზეა გაჩერებული. როცა ის 12-თან მივა, მაშინ უნდა შეწყვიტოთ თამაში და დაიწყოთ დალაგება“. 11:05 საათზე, თნაშემწე ისევ ახსენებს დროს და იწყებს სიმღერას „დალაგებაზე“. თანაშემწეს ეხმარებიან დალაგებასა და ნივთების კუთვნილ ადგილას დაბრუნებაში და თან წამახალისებელ სიტყვებს ჩასჩურჩულებს ბავშვებს ან ბავშვების მცირე ჯგუფებს: „მადლობა კუბურების ალაგებისთვის“, „ძალიან ბევრი იმუშავე დღეს, როდესაც მძივები დაალაგე ფერების მიხედვით“, და სხვ.

კომენტარი: *აქტივობის დასრულების შემდეგ ბავშვები უფროსების დახმარებით ზრუნავენ ჯგუფის სივრცის მოწესრიგებაზე.*

წიგნის დრო - 11:35 - 11:50. ბავშვები ჩვეულებრივზე მეტად აქტიურობენ, ამიტომ აქტივობა იწყება რიტმული თამაშით. ჯუფის ნაწილი იწყებს რიტმის დარტყმას, შემდეგ ყველა აჰყვება მას და ერთვება თამაშში. დაახლოებით 15 წამის შემდეგ ჯგუფი სიმღერაზე გადადის:

კომენტარი: *აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს, რომ ძალდაუტანებლად გადავიდნენ ახალ, შედარებით მშვიდ აქტივობაზე.*

მოძრავი თამაშების დრო -(11:50 – 12:20). დღეს მზიანი ამინდია, მაგრამ ცივი ნიავი უბერავს. ბავშვები აქტიურად და თავისუფლად თამაშობენ გარეთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში.

ხელების დაბანა სადილამდე. ბავშვები რიგში დგებიან ხელების დასაბანად. სხვა ბავშვები წრეში იცდიან, ათვალიერებენ დიდ წიგნსა და სხვა წიგნებს. ხელების დაბანისა და გამშრალების შემდეგ ბავშვები მიდიან თავიანთ მაგიდებთან, რომლებზედაც უკვე აწყვია გამზადებული სადილი.

სადილი - (12:40 – 13:10)**.** ისევე როგორც საუზმის დროს, აღმზრდელი და თანაშემწე თავისუფლად ესაუბრებიან ბავშვებს და მსჯელობენ იმ საკვების შესახებ, რომელსაც მიირთმევენ. როდესაც ყველა დაასრულებს ჭამას, შემდეგ ბავშვები მიდიან წრეში შეხვედრის ადგილთან.

კომენტარი: *აღმზრდელები ეხმარებიან ბავშვებს დღის შეჯამებაში; იკებენ, რა მოეწონათ ბავშვებს ყველაზე მეტად, რაც მათ დაეხმარება მომდევნო დღის დაგეგმვაში.*

§. 12. მომავალი აღმზრდელ-პედაგოგის დასაქმებისათვის მზაობა

ნაშრომზე მუშაობისას გადავწყვიტე შემესწავლა მომავალი აღმზრდელ პედაგოგებისა და დღეს მოქმედი პედაგოგის მზაობა.

საქმიანობა, გამოცდილება, თუ რა მომცა საბავშვო ბაღმა?

საბავშო ბაღში მუშაობის პროცესში მივიღე ერთგვარი გამოცდილება, დავეხმარო ბავშვებს ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობების მეშვეობით განვუვითარო ქცევის რეგულირებისა და ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

როგორიცაა:

1. კომუნიკაცია და მეტყველება;
2. ნატიფი და მსხვილი მოტორიკა;
3. შემეცნებითი და სოციალურ-ემოციური უნარები;
4. ასაკის შესაბამისი თამაშები;
5. თვითმომსახურება;

საბავშვო ბაღში ბავშვებთან მუშაობით შევძელი ისინი ჩართულიყვნენ საზოგადოების, სკოლის, ქვეყნის ჩვეულ რეჟიმში. მომცა გამოცდილება, რომ ვიყო ნებისყოფიანი, შრომისმოყვარე, დამთმობი, აქტიური, ენერგიული და ალერსიანი. მქონდეს ფანტაზიის უნარი, შევხედო ყველაფერს ბავშვების თვალით და ნათელი ფერებით დავინახო სამყაროს. უნდა შევძლო ემოციების მართვა მშრომლებთან თნამშრომლობა.

მთავარი და მთავარი ბავშვებთან ურთიერთობა, სიყვარული და სითბო. მათთან ერთდ ახალი აქტივობისა და სირთულეების დაძლევა შევძელი ბავშების ინტერესებიდან გამომდინარე.კურსდამთავრებულები დასაქმებისათვის მზად აღმოჩნდნენ. ამის მაჩვენებელი იყო ანგარიში „საბავშვო ბაღში პრაქტიკაზე მივდივართ“, პრაქტიკის

შედეგების ანალიზი. აღმოჩნდა, რომ პრაქტიკის პერიოდში გამოვლენილი პროფესიული უნარების გამო სამი პრაქტიკანტი დაასაქმეს იმავე საბავშვო ბაღში. სულ დასაქმებულია 57%.

პირველი კურსის სტუდენტებთან მქონდ ანკეტური გამოკითხვა:

რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

ვთვლი, რომ მაქვს იმის ნებისყოფა, დავამყარო ბავშვებთნ კარგი ურთიერთობა, ასევე ძალიან მიყვარს ბავშვები და მათთან გატარებული დრო სიამოვნებას მანიჭებს.

რას ელოდებით ამ კურსის დასრულების შემდეგ?

ვფიქრობ, ჩემს თეორიულ გამოცდილებას პრაქტიკაში გამოვიყენებ და უფრო მეტად გავიღრმავებ შეძენილ ცოდნას.

სანამ ამ პროფესიას აირჩევდით რას ფიქრობდით საბავშო ბაღის საქმიანობაზე?

ვფიქრობ, ეს ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოა, რადგან ბავშვებთან გვაქვს შეხება, ისინი ხომ მგრძნობიარე ადამიანები არიან და განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ. ამიტომ აქ მომუშავე აღმზრდელები ძლიერი ნებისყოფის უნდა იყვნენ და უნდა იცოდნენ ბავშვთან მუშაობის მეთოდი.

რომელ სხვა პროფესიასთან დააკავშირებთ ამ საქმიანობას?

რაღა თქმა უნდა დაწყებითი სკოლის მასწავლებელთან, რადგან როგორც ბაღია უცხო გარემო ბავშვისთვის შესაგუებლად ისეთივეა უცხოა სკოლა. აქ კი ყველაზე დიდი ადგილი აღმზრდელს ეკუთვნის.

რა ცოდნა და უნარ-ჩვევები შეგმატა ამ კურსის გავლამ?

პირველ რიგში შევიძინე ცოდნა, ღრმად ჩავიხედე ბავშვის ფსიქოლოგიაში. შევისწავლე აქტივობები და მისი გამოყენების მნიშვნელობა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ გარემოში.

ამრიგად, გამოკითხვებმა და ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მომავალი ბაგა-ბაღებს აღმზრდელებმა თეორიულ სწავლებასთან ერთად და სასკოლო მზაობის ჯგუფში მუშაობის გამოცდილებით შეიიძინეს ის უნარჩვევები და მეთოდები, რითაც შეუძლიან

დაეხმარონ ბავშვებს განავითარონ სხვა და სხვა უნარები და მზად იყვნენ სასკოლო ცხოვრებისათვის.

§. 13 დაგეგმვის ზოგიერთი საკითხი

1. დღის განრიგის კომპონონტები

ბავშვების მიღება და დილის შეხვედრა. თამაშობები და აქტივობები დიდ და მცირე ჯგუფებში. ეზოს აქტივობები, კვებისა და დასვენების დრო;

რისთვისაა საჭირო დღის განრიგი:

ეხმარება ბავშვებს იმის ცოდნაში. თუ რომელი საქმიანობა იქნება შემდეგი. თანდართული ფოტო ან ნახატი საქმიანობას ეფექტურს ხდის. უფროსებისა და ბავშვებისთვის ნათელი ხდება საქმიანობის თანმიმდევრობა. შეიძლება საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის მონაცვლეობა.

2. საქმიანობის ტიპები:

მოძრავი თამაშობები (ცეკვა), წესებიანი თამაშობები, კვლევა და აღმოჩენები,

წაკითხულის გააზრება, რუტინული საქმიანობები

ყოველდღიური საქმიანობებისა და პროცესების დახასიათება

საქმიანობა ხორციელდება თამაშის ელემენტებით. ხოლო შეიძლება იყოს ორგანიზებული თავისუფალი შემოქმედებითაც. შერჩეულია საურველი დრო. შეიძლება შეცვლა ბავშვების საჭიროებებზე მორგება.

წესებიანი თამაში

თამაშისთვის გამოიყენება ბურთები, ბარათები რიცხვებით, სურათებიანი ბარათები. სპორტული თამაშები სამაგიდო. ფიზიკური აქტივობები შემეცნებითი ელემენტებით.

როლური თამაში

სოციალური წარმოსახვის თამაში კონკრეტული როლი მოირგოს. ბავშვები თავად ირჩევენ სიუჟეტს. „როგორ ავაშენოთ სახლი“.

პროექტი

მიმართულია ინტეგრირებული სწავლისთვის. ქცევისა და უნარების დაკვირვებისთვის.

შექმნილი ნამუშევრების, დოკუმენტებისთვის, ფოტოებისთვის ჩანაწერების საშუალებით.

3. აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა

ბალანსის დაცვა წყნარ საათებსა და ენერგიულ აქტივობებს ოთახისა და ეზოს აქტივობებს შორის. მივცეთ ბავშვებს საშუალება ერთმანეთს გაუზიარონ სახლიდან მოტანილი ამბები. წინასწარ შევატყობინოთ საქმიანობის დაწყების და დამთავრების დრო. ბავშვებთნ ერთად აყალიბებს აქტივობის საჭირო რესურსებს. შევძინოთ სიხალისე გარდამავალ პერიოდს. მივცეთ პოზიტიური უკუკავშირი. დღის ბოლოს ვიმსჯელოთ შესასრულებელ საქმიანობაზე და ვისაუბროთ ახალ გეგმებზე. შევატყობინოთ სახლში გამგზავრების დარჩენილი დრო.

4. წრეში პირველი შეხვედრის მიზანია

გარდამავალი ეტაპის გამარტივება, ყველა ბავშვის ერთად შეკრება გამოცდილების გასაზიარებლად, ჯგუფის ერთობის ხელშეწყობა და დღის დაწყება, პატარებისთვის პოზიტიური და ხალისიანი განწყობის შექმნა.

5. წრეში შესვლის დანიშნულება

ბავშვებისთვის მიმდინარე ძირითადი საქმიანობის გაცნობა. დღის სამუშაოს განაწილება ბავშვებს შორის. დღის დამატებითი შესასწავლი ახალი საკითხების მოკლე ინფორმაციის მიწოდება. დასწრების სიის ამოკითხვა

6. მისალმება და კავშირის დამყარება

ვესალმები თითოეულს. ვეხმარები სხვა ბავშვებთან პოზიტიური,სასიამოვნო კომუნიკაციის დამყარებაში. სიმღერით, ლექსით, აქტივობით.

7. მნიშვნელოვანი ახალი ამბავი ოჯახიდან

ყურადღებით მოსმენა, ამბის სწრაფად მოყოლა, შეკითხვა, გამართულად აზრის გადმოცემა, შეუძლია საკუთარი შეხედულებების,განცდების შთაბეჭდილებების გადმოცემა.

8. პოზიტიური გაძღოლის პრინციპები.

პრობლემური არასასურველი ქცევის პრევენციაზე. პრობლემური ალეტერნატიული მისაღები ქცევის სწავლებაზე. ბავშვის ავტონომიის პატივისცემაზე ასევე უფლებების პატივისცემაზე,რომ ბავშვს შეუძლია მოიქცეს განსხვავებულად; ოღონდ მისაღებად. ქცევის მართვის ტექნიკები უნდა იყოს მარტივი კონკრეტული და უხსნიდეს ბავშვს თუ რისი კეთება შეუძლიათ მათი პრობლემების გადასაჭრელად.

9. პოზიტიური გაძღოლის ტექნიკებია.

ბრაზის მართვა, მოდელირება,წარმატებული ქცევის განმტკიცება.ემოციებთან დაკავშირებული ცოდნის გაღრმავება და ემოციური რეგულაციის ხელშეწყობა.

10. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების მიზანი კურიკულუმის დაგეგმვა იმისათვის რომ გაიზარდოს ბავშვის შესაძლებლობები, რომ თვითონ გააკეთონ აღმოჩენები და გამოიჩინონ სწავლის ინიციატივა

გამხნევება, საუბრისა და კომუნიკაციის სისტემა, ახალ ნაცნობთან დაკავშირება. ყურადღებით მოსმენა, აქტივობების მოსმენა, არჩევანის შეთავაზება. ფიქრის ხელშეწყობა,მდიდარი ლექსიკის გამოყენება.

11. შეკითხვები აზროვნების განვითარებისთვის

აზრების სიტყვებით გადმოცემისათვის - შენი აზრით, რატომ იყო მოთხრობაში პატარა ბიჭი მოწყენილი?.

დაკვირვებისთვის - რას ხედავთ? გესმით ან გრძნობთ? რა შენიშნეთ?

მსგავსებასა და განსხვავებაზე დაფიქრებისთვის - რა ამსგავსებს ამ საგნებს ერთმანეთს?

პროგნოზებისთვის - როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ შენ კოშკს კუბებს დაუმატებ?

პრობლემის გადასაჭრელად ცოდნის გამოყენებისთვის - რა უნდა გააკეთო, საღებავი რომ არ დაეწვეთოს იატაკზე?

ფიქრის გაღრმავებისთვის - როგორ ვიმოძრავებდით მსუბუქი და სატვირთო მანქანები, ავტობუსები, თვითმფრინავები ან გემები რომ არ ყოფილიყო?

შედეგის გააზრებისთვის - რა მოხდება თუ ნახატს გარეთ დატოვებთ და იწვიმებს?

შეფასებისთვის - რატომ გადაწყვიტეთ ამ წიგნის არჩევა წასაკითხად? რა იგრძენით?

გრძნობების შეფასებისთვის - რას იგრძნობ, თუ ეს მოხდება?

12. კვება

ჯანსაღი კვების ჩვევები,სოციალური და თვითმომსახურების ჩვევების განვითარება. საუბარი მშობლებთან დიეტის საჭირეობაზე, წინასწარ მომზადება ყველა საჭირო ნივთის, სუფრის გაწყობა ბავშვებთან ერთად, ულუფის გადაღება, არ გამოიყენება კვება დასჯისათვის, არ აძალებენ ბავშვებს ჭამას,არამედ უყალიბებენ დადებით განწყობას.

და ბოლოს ყველა სქემა შეიძლება გამოვიყენოთ აქტივობაში და სწორად დაგეგმვაში. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების მიზანი კურიკულუმის დაგეგმვა იმისათვის, რომ გაიზარდოს ბავშვის შესაძლებლობები, რომ თვითონ გააკეთონ აღმოჩენები და გამოიჩინონ სწავლის ინიციატივა

დასკვნები

- ✓ მე-19 საუკუნის ევროპაში, წარმოიშვა საჭიროება ადრეული ასაკის ბავშვსა და მის განათლებაზე ფიქრი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა იყო მნიშვნელოვანი საქმე.
- ✓ მოქმედებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები. კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ორგანიზაციის მსოფლიო გამოცდილება უჩვენებს, რომ არსებობს სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგთა განვითარების სხვადასხვა გზები. ამ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია სპეციალურად ორგანიზებული კურსების ფარგლებში.
- ✓ ახალი სტანდარტების დაგეგმვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისთვის ძალიან დიდი და შრომატევადი პროფესიაა. 2018 წლიდან დაიწყო მეთოდისტების, აღმზრდელ-პედაგოგებისა და მუსიკის მასწავლებლის პროფესიული გადამზადება. თუ გვინდა ბავშვი სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბდეს ის ახალ უნარ-ჩვევებს საბავშვო ბაღიდან უნდა განვითარდეს.
- ✓ 2011 წლიდან საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, 5 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში მისვლის შესახებ. მოვლენა საკმაოდ მაშტაბური იყო მომავალი

თაობისთვის. ბავშვის განვითარებაში აუცილებელია მშობელმა შეიტანოს წვლილი და აღმზრდელებთან ერთდ შეისწავლოს ახალი სტანდარტები.

- ✓ სასკოლო ასაკის ბავშვი ატარებს მკვეთრად გამოხატულ მძაფრ, მაგრამ არამდგრად ხასიათს. 5 წლის ასაკის ბავშვს უვითარდება ემპათიის გრძნობა და აღქმის განსხვავებული ფორმა.
- ✓ აღსაზრდელთა წარმატების აღიარება საბავშვო ბაღიდან იწყება, შემდეგ კი სასკოლო პროცესში გადადის.
- ✓ თამაში ხელს უწყობს ბავშვს სხვადასხვა უნარების განვითარებას. თამაში ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ განვითარებას. გარდა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომელიც აკისრია თამაშს ბავშვის განვითარების პროცესში, მას აქვს თავისთავადი ღირებულებაც - ეს არის სასიამოვნო პროცესი, რომელიც თავისუფლებისა და სიხარულის განცდას ანიჭებს ბავშვს.
- ✓ ჯგუფის ფიზიკური გარემო, იქ არსებული ნივთები და მათი განლაგება დიდ ინფორმაციას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რას მოველით იქ მყოფი ბავშვებისაგან. ფიზიკურ გარემო ხელს უნდა უწყობდეს პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებს. სასურველია გარემო მიმზიდველი რომ იყოს. რომ ეს დრო ბავშვებმა სასიამოვნოდ გაატარონ.
- ✓ სასკოლო მზაობის ჯგუფში გარემო კარგად ორგანიზებული და სტილისტურად მოწყობილი უნდა იყოს. ბავშვი ყველაზე კარგად ვითარდება და კარგად სწავლობს როცა ყველა რესურსთან აქვს შეხება.
- ✓ სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც აქტივობებში ყველა აღსაზრდელს აქვს სურვილი მიიღოს მონაწილეობა და დააფიქსიროს მისი აზრი.
- ✓ სასკოლო ჯგუფში მუშაობა ერთობ საინტერესოა, რადგანაც მუშაობის პროცესში დაგეგმილი აქტივობა ბავშვებიდან გამომდინარე შეიცვალოს და სულ სხვა აქტივობა გამოვიყენოთ.

- ✓ სქემები პრაქტიკული გამოყენებისთვის დაგვეხმარება ჯგუფში დღის განრიგის შედგენაში . ყოველდღიურ საქმიანობას ახლავს თავისი წესები და მნიშვნელობა, რომელსაც შეძლებისდაგვარად იყენებს აღმზრდელი.

ლიტერატურა

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს კანონი ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლების შესახებ 2016 წლის.
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები 2017 წლის.
3. აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული სტანდარტი 2017 წელი.
4. ბავშვთ უფლებათ კონვენცია.
5. სოციალურ რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა.
6. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო.
7. ნაბიჯ-ნაბიჯ.
8. განვითარების თეორიები 2008 წელი.

9. Htt://www.helsinki.fi/palmenia/kotka/opettajaksi/eng screen.pdf

Teacher Qualifications **in Finland.**

10. Htt://www.aceceqa.gov.au/early-childhood-teaching-qualifications

Early childhood teaching qualifications **in Australia**

11. http://study.com/articles/Kindergarten Teacher Requirements for Teaching Kindergarten.html Kindergarten Teacher: Requirememts for Teaching **in Germany**

12. http://study.com/preschool teacher qualifications.html

Preschool Teacher Qualifications Education and Career **in USA**

13. Htt://www.gov.uk/guidance/early-years-initial-teacher-training-a-guide-for-providers early years initial teacher training **in UK**